

# ლიტერატურული განცემი

№22(206) 24 ნოემბერი - 7 დეკემბერი 2017

გამოდის ორ პერიოდი ერთხელ, არასკორიტი

ფასი 80 თერი

დავით წერედიანი

## გარიამობის უძმობანი

”უქმი იძახა დათვიამა,  
მარიენობა შემოვიდა...“

\*\*\*

პოეზიითვე დავიწყებ:  
„მარიენობა შემოვიდა“... ეს უკვე ვთქვით.  
„ვხედავ, ცა როგორ უღალდება მარიამობის  
დამლევს...“ ვთქვათ ბარემ ესეც. ჩემი საყვარელი  
სტრიქონია.

დანარჩენი — რასაც წავედები, ანუ რასაც  
ფიქრი შემთხვევიდან შემთხვევამდე მოიტანს.

ძირითადი აქცენტი მაინც ალბათ პოეზიაზე  
გაკეთდება.

\*\*\*

იტალიური „კომედია დელ არტეს“ თეა-  
ტრალური ნილბები მართლა ისეთი ყოვლისმომ-  
ცველი არიან, როგორადც მე მესახებიან, მარ-  
თლა სრულად აერთიანებენ ყველა ლიტერატუ-  
რულ ტიპსა და ხასიათს?

სამწუხაროდ, მათ ისე კარგადაც არ ვიცნობ,  
რომ დასმულ შეკითხვას დამაჯერებელი პასუხი  
გავცე.

მაგრამ ფაუსტი და მეფისტოფელი — მათთან  
ურთიერთობაში წლები მაქს გატარებული —  
აშკარად პიერი და არლეკინია. გენიალურად და-  
მუშავებული, რაც მათ აბსოლუტურ ინდივიდუა-  
ლობას ანიჭებს.

ნილბების ფაუსტურმა გამოცდილებამ ახალი  
თვალთახედვა გამიხსნა.

დონ კიხოტიცა და სანჩიო პანსაც არლეკინი და  
პიერია, აგრეთვე გენიალურად დამუშავებული.

აუცილებელი სულაც არ არის, რომ ორივე ამ  
ნილაბმა მუდამ წყვილად იარის.

პამლეტი არლეკინია, რომელსაც თავისი პიე-  
რო არა ჰყავს.

რაღა შორს წავიდეთ, ჩვენი ავთანდილიც არ-  
ლეკინია, არც მას ჰყავს თავისი პიერო.

\*\*\*

„პამლეტი ფაუსტზე ჭკვიანია“, სადღაც წამი-  
კითხავს. არ გამოვრიცხავ, სიმართლეც იყოს. სი-  
ჭკვიანები ალბათ ბასრი და მოქნილი გონება იგ-  
ულისხმება.

მაგრამ პამლეტის საპირზონე ფაუსტი არც  
არის. არამედ მეფისტოფელი.

მასთან ორთაბრძოლაში კი, ძალზე საეჭვოა,  
სასწორი ჰამლეტისკენ გადაიხაროს.

\*\*\*

ფაუსტის გახსენებაზე.

მძღვანელური ილიანუნიდან, პროფესორსა  
და, იმედია, მომავალ აკადემიკოსს, როგორც გამ-  
ორკვა, ძალიან მოსწონს ასეთი სტრიქონები:

— საიო მიდიხართ თქვენ აქეთკენა?

— ჩვენ მონალირის სახლისაკენ. თქვენა?

არათუ მოსწონს, გამჭვირვალედაც კი მიმანი-  
შნა, რომ სასურველი იქნებოდა, „ფაუსტის“ მეორე  
ნაწილის თარგმნისას, დაახლოებით მაინც, რამ-  
დენადაც შევძლებდი, ამ დონეზე მემუშავა.

ახლა, როცა „ფაუსტის“ მეორე ნაწილიც გამომ-  
ცემლობას გადავეცი, ხსენებულ ერუდიტს (და,  
იმედია, მომავალ აკადემიკოსს) მინდა პოდიში  
მოვუხადო: მისი სურვილის შესრულება ვერ შევ-  
ძლი, ამგვარი რამ ჩემს ძალას აღემატებოდა.



ეთერ თათარაიძე

\*\*\*

— დედა, აამ ბოლო დროსავ  
სევდიან ლექსებს სწერავ, —

ჩემ თუთივომ მითხორ.

— ჰო, ჩემ ლექსებს ნისლ ხვიავ,  
ჯანდ ხვიავა-დ ფიორ...

ძალის-ძალით თავს ვირთობ,  
ლოდმბულ მუქლებს მივსთორ...

გულიც მეტა' დამელალ,

სიმართლე რო გითხორ...

VIII-IX



ვახტანგ ჯავახაძე

ისევ

## გალაკტიონი

ინტერმედიები

ნიგნისთვის „უცნობი“

რატომდაც

1949 წლის 19 დეკემბერს რატომდაც მაინცად-  
ამაინც „ИМЕЛ“-ის ანუ მარქს-ენგელს-ლენინის  
ინსტიტუტის შენობაში გარითმა-გალექსა:

ამ საუკუნის მერანს  
ვერვინ დაუჭერს ალვირს,  
ბევრი დალვარა სისხლი,  
უფრო მეტს კიდევ დალვრის.

ორი დღის შემდეგ გენერალისიმუს სტალინს 70  
წელი შეუსრულდა და მთელმა იმპერიამ იზემა  
მრგვალი თარიღი.

## ემიგრაციების რჩეული

1981 წელს ქართველ ემიგრანტთა უურნალ  
„თავისუფლების ტრიბუნაში“ 1924 წლის აჯანცებ-  
ის მონანილემდა შემდგომ პარიზში საქართველოს  
საელჩის თანამშრომელმა ვალიკო ჩუბინიძემ გა-  
მოაქვეყნა მოგონება „ჩემი დღიურიდან“. როგორც ირკვევა, 1927 წელს მას ესაუბრა დევნი-  
ლი მათვრობის წევრ ნოე რამიშვილი, რომელსაც  
განეზრახა რომელიმე ანტიკომუნისტი მწერლის  
გადმობირება. ვალიკო ჩუბინიძეს დაუსახელებია  
ოთხი: გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახ-  
ულია, დავით თურდოსპირელი (ჩეიძე) და  
გრიგოლ რობაქიძე. რამიშვილის შეკითხვაზე —  
რომელია უფრო აქტიური და რომლის ჩამოყანაა  
ყველაზე სასურველი, ჩუბინიძეს შეუთავაზებია  
გალაკტიონ ტაბიძე და გაუსხენებია გალაკტიონ-  
ის პოემა „მოგონებები იმ დღებისა, როცა იელ-  
ვა“, რომელიც აკრძალეს. სოციალ-დემოკრატიუ-  
ლი პარტიის ბიუროს აურჩევია კომისია ამ საკ-  
იოხის მოსაგვარებლად, მაგრამ, როგორც ჩუ-  
ბინიძე აღნიშნავს, ჯერ ტაბიძეს და შემდეგ გამ-  
სახურდიას თავი შეუკავებიათ — საქართველოში  
მეტის გაკეთებას შევძლებორ. ჩუბინიძე აღნიშ-  
ნავს აგრეთვე: 1935 წელს პარიზში ჩამოსულ  
გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრას ცდილობდნენ  
სიმონიკა ბერეჟიანი, ილია ზდანცევიჩი და გოგი  
ნოზაძე, მაგრამ არ ვიცი, ისინი მიიღო თუ არა  
გალაკტიონმათ.

ჩვენ ვიცით ამ შეკითხვის პასუხი და ახლა ისიც  
შევიტყვეთ, რომ ჩუბინიძის მიერ დასახელებული  
ილია ზდანცევიჩის ენერგიული მცდელობა გალაკ-  
ტიონთან შეხვედრისა ერთპიროვნული მონადინე-  
ბა არ ყოფილა.

როგორც ნოდარ ტაბიძე გვაუწყება, 1921 წელს  
„ემიგრანტთა ნასაყვან მწერალთა სიაში გალაკ-  
ტიონიც მოხვდა“.

აქ დროული იქნება მოვისმინოთ აშკარად ნა-  
ბახუსევი გალაკტიონის 1929 წლის გაჭიანურებუ-  
ლი რუსული:

— ე იზენ! იზენ! იზენ! იზენ! იზენ!  
იზენ! იზენ! იზენ! იზენ! იზენ!

— ე იზენ! იზენ! იზენ! იზენ! იზენ!

VI

X-XI



ადარებენ. საგულისხმოა, რომ „ვეფხს-ისტყაოსნის“ გმირების (ტარიელისა და ავთანაძილის) სულიერი ძალების აქტივ-იზაციაც სწორედ მათი შეხვედრისა და დამეგობრების შემდეგ იწყება. რუსთავე-ლი ორ „რაღაცით“ ერთმანეთის მსგავს სამყაროს ხატავს. არაბეთშიცა და ინდო-ეთშიც სამეფო ტახტი მამაკაცი მემკვიდ-რის გარეშე დარჩენილი. განსხვავება ისაა, რომ არაბეთში გამოსავალს მშვი-დობიანად პოულობენ ქალის გამეფებით, ინდოეთში კი — არა. ტარიელიცა და ავთანაძილიც სულიერი კასტორი და პოლიდევეე არიან, ტყუპები, რომლებიც ერთმანეთს აესხებენ. პომეროსის „ოდისეა-ში“ ორეულის პოვნის თემა მამა-შვილის შეხვედრის ფონზე ვითარდება. ითაკაში დაბრუნებული ოდისეესი ვაჟის დახმარე-ბის გარეშე პენელოპეს სასიძოებს ვერ დაამტკებდა, ვერც ტელემაქე, ისინი ერთმანეთს აძლიერებენ.

მოვლას, მერე კი მთლიანად იძირება ჯა-  
დოსნურ ჰანგებში. ეს ინიციაციის უკა-  
ნას ესელი საფეხურია, სწორედ მუსიკით  
(ომში მიმავალი ჯარისკაცის სიმღერით)  
უნდა გამოიხმოს „ჰადესიდან“ გარდაცვ-  
ლილი ოთახიმის აჩრდილი, რათა თხზუ-  
ლების ბოლოს საკუთარ ორეულს შეერწ-  
ყას და მასსავით მეომრად იქცეს. თუმცა  
მანამდე სკამლოგინზე საათობით მწოლს  
კოსმიური ხედვა უნდა განუვითარდეს. ამ  
პროცედურის პირდაპირი დანიშნულება,  
რაღა თქმა უნდა, სამკურნალოა. სუფთა  
მთის გაიძვიათ თებულმა ჰაერმა ფილტვებ-  
ში არსებული კერები უნდა განუკურნოს  
და ორგანიზმიდან შხამები გამოუდევნოს,  
მაგრამ ამასთანავე სანატორიუმის აივან-  
ზე წოლა მედიტაციის მშენებირი საშუ-  
ალებაცაა. აღმოსავლელი ბერები თავი-  
ანთ ახალმოსულ მოსნავლეებს სულიერ  
ვარჯიშს კონცენტრაციის გამომუშავე-  
ბით აწყებინებდნენ. ისინი ფეხმორთხმით

ଦରୀନିଲେ ଶାକିତ). ନାହାତ୍ରୀ ଏହିଶ୍ଚୁଳିତତା ଓରଫ୍ରେ-  
ନିଲେ ନେଇବାରୀର, ଶେର୍ପେମଦରିନି — ମାସନନ୍ଦା  
ଲୋଖିଲେ, ଇଲିନି ଏରତମାନ୍ତେତତାନ ଗାନ୍ଧୁନ-  
ଯଶେତିଲ୍ଲିବ କାମାତିଲେବେନ୍. ବାନ୍ଦରକଲ୍ଲିଵାର  
ଗାଲ୍‌ପାଇନ୍‌ରେଡ୍‌ବିଲ୍‌ସ ମାତ ଶରୀରିଲ୍ ମଦ୍ଦଗରମି  
ଅଧେତ୍ତି କାଶ୍‌ଟିମରିପି (ଫୋକ୍, ତରମାଶ ମାନି  
ମାଶ ଶୁକ୍ର ଅଧେତ୍ତି ଶୁନ୍‌ଦ୍ରିପିଲ୍) ରାଲାତିକିତ  
ଶୁକ୍ରିଲାଦା ଲା କାରିବିଲାଦା ଶରୀରିଲ୍ ମନ୍‌ଦ୍ରିଷ୍ଟୁଲା  
ଅଧିଲେଶ୍‌ବିଲ୍‌ସାପ୍ତ କି କିମ୍‌ବାର୍ଷ. କାଶ୍‌ଟିମରିପିଲ୍ ନେଇବାରୀ  
ଶୁଜାଲ୍‌ଲେଫି ଶୁନ୍‌ଦ୍ରିପି ପିଲ୍‌ଗର୍ବି, ଲା ଲାବନ୍‌ଦ୍ରିଲାଦା,  
ତାଗ୍‌ଲା ଏକ୍‌ତ-ଇକିତ ଅତିରିକ୍ତାଲ୍‌ପିଲ୍, ବାନ୍ ଏରତେ  
ଶୁକ୍ରାଦା କାଶ୍‌କର୍ମ, ବାନ୍ ମେନର୍କ୍‌ର୍ମ. ଇଲିନି କି କି  
ଥିଲୁଗାଲ୍ ତାମ୍‌ପିଲ୍‌ଦିଲ୍ ଇଲୁଗାପିଲ୍‌କାଶ୍‌କର୍ମବିଲ୍ କାମାତିଲ୍-  
ଦେନ୍, ଗେଗରିନ୍‌ବାତା, „ମାତି ଶାକ୍‌କୁତାରି ଦେଲାଦି  
ନ୍‌ପଦ୍ଧତାକ, ତାନ ଶୁଫରିନ ବେଳିରାଦ ଏରତମାନ୍ତେତା  
କି ମାନ୍, ତାନ୍‌କ କାଶ୍‌ଟିମରିଲ୍“ ଶୁଠାରିଗ୍ରେନ ତାବାନ୍-  
ଅନ୍ ମର୍ବାଶିର୍ବେଦିଲ୍. ନାହାତ୍ରୀ ଏରିନ୍‌ବନ୍‌ଦ୍ରିଲ୍ ଶାବ-  
ଶେଲମିନ୍‌ବିଲ୍‌ଗର୍ବିଲ୍ ମର୍ବାଶିର୍ବେନ୍, ଶେର୍ପେମଦରିନି କି —  
କାପ୍‌ରିବିଲ୍‌କିବିଲ୍ ଶୁଲ୍‌ଲୋକିଲ୍ ନିଶିନ୍ତି ଗାଏର-  
ତାକାନ୍‌ଦିଲ୍ ଶା ଦା ମିଲାତାଲାନ ର୍କ୍‌ପିଲ୍‌କୁଲ୍‌କିଲ୍ ମାଦ-  
ଶେକ୍‌ମିଲ୍, ରାଫ୍ ନାହାତ୍ରୀଶ କୁଲମାନିଲ୍‌କିଲ୍ ନିଶିନ୍ତି

იზებული აზროვნების ხაფანგისკან თავისი  
დაღწევას და ხვდება, რომ ქუშმარიტება  
„ორ უკიდურეს არჩევანს შორის უნდა“  
იყოს. ამით არა მხოლოდ ორადობაზე,  
გონებაზეც კი მაღლდება, რათა სულიერ  
ადამიანად იქცეს. მისთვის უკვე ნათელი  
ხდება, რომ სწირედ „ადამიანია წინააღმ-  
დეგობათა ბატონ-პატრიონი, ისინი მისი  
წყალობით არსებობენ და ამგვარად, ად-  
ამიანი მათზე უფრო კეთილშობილია.  
სიკვდილზე კეთილშობილი, გაცილებით  
კეთილშობილი, თავისუფალი ჭკუა-  
გონების წყალობით და სიცოცხლეზე  
კეთილშობილი, გაცილებით კეთილშო-  
ბილი, თავისი ღვთისნიერი გულის წყალო-  
ბით“. სკოლას და ქარიბდას ინიციაციური  
საფეხურის გავლის შემდეგ ჰანს კასტორ-  
პი ადეპტი აღარა, ის უკვე განადობილია.

III  
ଓଡ଼ିଆରୀବୁଦ୍ଧି ସାହିତ୍ୟରେ

თომას მანის რომან „ჯადოსნური მთის“ ერთ-ერთი პერსონაჟი (ნაფტა) საუბრობს ეგვიპტეზე, როგორც მის-ტერიტორიების დედაზე. მისი აზრით მასონობა შეუა საუკუნეებში კი არ წარმოშობილა ან ვთქვათ ხირამის (სოლომონ მეფის დი-დოსტატის) ეპოქაში, არამედ გაცილებით ადრე. წაფტა ახსენებს ეგვიპტურ აკლ-დამებს და აღნიშნავს, რომ ორდენის რიტ-უალებიც სამარეში (აკლდამაში) აღეს-რულებოდა, სადაც „შეგირდი ადათისამე-ბრ მინისევეშეთში უნდა ჩასულიყო და იქ ერთი ხანი დაეყო, რათა მერე უცნობი ძმის ხელს გამოყევანა იქიდან“. კუბოს კულტი, დახლართული ტალანები და ჩანარებუ-ლი თაღება კი, სადაც მორჩილს უწევდა გავლა კურთხევამდე, საძმოების რიტუ-ალებში სიკვდილის შიშა და ხრწინის სამე-ფოზე გამარჯვების სიმბოლოებად გვევ-ლინებიდა.

„ალბათ გეებასოვრებათ იზიდასა და  
ელევსინის მისტერიები, ღამით და თან  
ბნელ მღვიმებში რომ ტარდებოდა. მოკ-  
ლედ ეგვიპტური წეს-ჩევულებანი მრავ-  
ლად იყო და არის მასონობაში, ხოლო საი-  
დუმლო საზოგადოებებს შორის ისეთებიც  
მოიძებნებოდა, თავს ელევსინის კაგმირს  
რომ უწოდებდნენ. არსებობდა ელევსინის  
დღესასწაულები, ელევსინური მისტერიე-  
ბი და აფროდისიები, სადაც ბოლოს და  
ბოლოს ქალიც მონანილეობდა. ეს გახლ-  
დათ ვარდების დღესასწაული, რაზედაც  
მასონთა გულსაფარზე გამოხატული სამი  
ცისფერი ვარდი მიგვანიშნებას, ხოლო ეს  
დღესასწაული, როგორც ჩანს, ვაკებანა-  
ლიაში გადაფიოდა ხოლმე...“

ნებსით თუ უნებლივით კვლავ მივუახლოვდით „ღვთაებრივი კომედიისა“ და „ულისეს“ უმთავრესი პერსონაჟების ბეატრიჩესა და მოლი ბლუმის მისტიკურ წინასახეებს — ვენერა ურანიასა და ვენერა პანდემოსს, სამსახოვან ქალლმერთებს, რომელთა კოსმიური არსიც სიმბოლურად სამი ცისფერი ვარდითაც შეიძლება გამოიხატოს. მასონია „ჯადოსნური მთის“ პერსონაჟი სეტემბრინი, შინკოფერთა ორდენის წევრია ჯოისის ე. ნ. „თანამედროვე ოდისევსა“ ლეოპოლდ ბლუმი, რომლის საუკეთესო დახასიათებაც, რაგინდ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩენოს, სწორედ „ჯადოსნურ მთაში“ გვხვდება. აი, რას ეუწება ნაფტა ჰანს კასტორპს: „შუა საუკუნეებში ორდენმა ისეთი ნარმატებას მიაღწია, რომ ფილისტერები ჩიოდნენ, იყი მამაკაცებს ოჯახური ბედნიერების სურვილს უკარგავს, ხოლო დედაკაცებს ლირსების გრძნობას უჩილუნგებსო“. როგორც ჩანს, ხანდახან ფილისტერთა გამონათქვამებმიც არის ჭეშმარიტების მარცვალი. ლეოპოლდ ბლუმს ოჯახური ბედნიერების სურვილი მართლაც დაკარგული აქვს, მის მეუღლეს მოლის კი —

ქალური ღირსების გრძნობა...  
ვენერა პანდემიის მისტერიაში წვდო-  
მის გარეშე „ულისეს“ გაგება თითქმის  
შეუძლებელია, ასევე რთულია მივხვდეთ,  
თუ რატომ ეკიდა მწერალს თავის ითახში  
მესამე ხატად შიშველი მოხუცი ქალის  
სურათი წარწერით „Elena vidi...“ „ვნახე  
ჰელენე, რომლისთვისაც წელი მრავალი  
სისხლის წვიმები დააყენეს ტროას გმი-  
რებმა“.



საგულისსხმოა, რომ მუსიკის თემა „ვეფხისტყაოსანშიც“ ფიგურირებს და პომეროსის „ოდისეაშიც“. ავთანდილი შვიდ ციურ სხეულს სთხოვს შემწეობას, ეს ერთგვარი საგალობელია აღვლენილი კოსმიური კრებულისადმი, რომლის მიღმაც დგას ქალღმერთის რანგში აყვანილი ნესტანი. პომეროსის „ოდისეაში“ მუსიკა პირიქით ერთგვარ დაბრკოლებად არის წარმოჩენილი. ოდისევის სირინოზების გალობით არ უნდა მოიხიბლოს, არ უნდა დააგინყოს მმობლიური ითაკა. პომეროსის პოემაში გამარჯვებული ქალღმერთი ჰერა და არა აფროდიტე. ჰერა ოჯახის მფარველი ქალღმერთია, აფროდიტე — თავისუფალი სიყვარულის, პირველი მენელაოსს მფარველობს, მეორე — პარისს. ჰერა იმარჯვებს. ასე რომ, პომეროსი ინიციაციის სრულიად განსხვავებულ სქემას მიჰყვება. ის არც აფროდიტეს მეხოტბეა და არც ჰერას, თუმცა ზევსის ცოლს იერ-არქიის უფრო მაღალ საფეხურზე აყენებს.

რუსთაველის პოემაში სიყვარული ყოველგვარ პირობითობაზე მაღლა დგას, ის ადამიანს სულიერად ამაღლებს. პოეტის აზრით, შეყარებულ ადამიანს ყოველგვარი კოდექსისა დარღვევის უფლება აქვს. ნესტანს არ შეუძლია ტარიელთან დაქორწინება, ისევე როგორც თამარ მეფესა და ქართველ მონარქებს (სამეფო კოდექსისა თანახმად) — თავიანთ ქვეშევრდომთან. ასე რომ, ნესტანს, რომლის პროტოტიპიც თამარია, საქმრო უცხო ქვეყნიდან უნდა მოჰვევარონ. ტარიელი კლავს მძინარე სასიძოს, მაგრამ ეს სიყვარულის გამო ჩადენილი ცოდვაა და ავტორიც დიდსულოვნად შეუნდობს. რუსთაველი დანტეს წინამორბედია, ისიც შვილი ვარსკვლავის მიღმა მდგომ არსებას ასხამს ხოტბას. ნესტანი ბეატრიჩესავით 7 პლუს 1-ის სქემაში ჯდება. ბეატრიჩეს დანტე ჯოჯოხეთში ჩასვლის გარეშე ვერ იხილავს, ხოლო ნესტანს ტარიელი — ქაჯების ციხეში შეულწევლად, ამ ორი პერსონაჟის წინასახე კი ითა — ჰერას მიერ მიჩნილი ასთვალა არგუსის ტყვე, მოგვიანებით სიყვარულის ქალღმერთად შერაცხილი და ქაოსში ჩანთქმული, რომელიც არგუსის მკვლელმა უნდა გამოიხსნას...

ტარიელი რაღაცით ჰყავს ლომის ტყა-  
ვიან გილგამეშს, ისინი ინიციაციის ერთი  
და იმავე გზას გადიან: 1) ძმადნაფიცობა  
— საკუთარი თავის შეცნობა (ორეულის  
პოვნა); 2) ველად გაჭრა და ვეფხვებისა და  
ლომების დახოცვა, რაც ანტიკურ სამ-  
ყაროში ქვენა გრძნობების დამარცხების  
სიმბოლო იყო, ასევე — მეფე-ქურუმობის  
(ლომისა და ვეფხვის ტყავები ემოსათ  
ქალდეველ და პელაზგ მეფე-ქურუმებს);  
3) ხუმბაბას განგმირვა (ქაჯვების დამარცხ-  
ება) — სულეთის სამეფოში ჩასვლის სიმ-  
ბოლო გახლდათ; 4) შვიდმაგი ელვით და-  
ცული წმინდა კედრების მოჭრა (ნესტანის  
გამოხსნა) — კი საიდუმლო სიბრძნის ხე-  
ოში ჩაგდების...

თუმცა დავისტრუნდეთ ისევ თომას მანის პერსონაჟს, ჰანს კასტორპს, რომელიც მუსიკის ზეგავლენას განიცდის (ჯადოსნურ გარემოში მოხვედრილი გორაკზე ასვლისას უნებლიერთ სიმღერას იწყებს, ეს მისი მისტიკური გზის დასაწყისია), რომანის ბოლოს კვლავ ჩნდება მუსიკის ორბა. ინტერნაციონალურ სანატორიუმ „ბერგჰოფში“ უახლესი მოდელის გრამატონი და უამრავი ფირფიტა მოაქვთ. კასტორპის საკუთარ თავზე იღებს მუსიკალური აპარატისა და ფირფიტების

ყებს უნდა წარმოედგინა მთვარიანი ლაპე  
და ტბა, ასევე მთვარის ანარეკლი, რომელი  
ც წყლის ზედაპირზეც ჩანდა და  
ფსკერზეც. მსგავსი ვარჯიშები გალიაში  
ჩამწყვდეული მაიმუნივით აქეთ-იქით  
მოხტუნავე აფორიაქებულ გრძებას ამშვიდებდა. სკამლოგინზე საათობით წოლამ  
ჰანს კასტორპსაც დაუშშვიდა გონება და  
ფილოსოფიური აზროვნება დაანწყდინა.  
ამრიგად, ის წარმატებით გადის ინიცი-  
აციის რიგით საფეხურს, ამარცხებს „ას-  
თავიან ჰიდრას“ (გაფანტულ აზ-  
როვნებას) და მომდევნო გმირობისთვის (ჰადესში ჩასვლისთვის), ემზადება.  
„სიკვდილის სიახლოვე სხვადასხვაგვარ-  
ად ზემოქმედებს ადამიანზე, ზოგი თავის-  
უფალი ხდება (ქედებებში), ზოგი მარტო-  
სული და ფიქრისკენ მიდრეკილი. თუმცა  
ფაქტია, რომ ყველა იცვლება, ყველა  
თავისებურად“, ვკითხულობთ „ჯადოსნურ  
მთაში“. და აი, ჰადესში (სანატორიუმში,  
სადაც სასიკვდილოდ განწირული ადამი-  
ანები ცხოვრობენ) მოხვედრილი ჰანს კას-  
ტორპი იწყებს ფიქრს დროის ფენომენზე,  
სიცოცხლის რაობასა და იმ სხვაობის  
შესახებ, რომელიც არსებობს ცოცხალ და  
არაცოცხალ ბუნებას შორის. თუმცა შე-  
მეცნების პროცესში მას ჩინ ეღობება  
კიდევ ერთი ზღუდე ნაფტასა და სეტემ-

ნეთს, არამედ საკუთარ თავსაც ” ენი-  
ნააღმდეგებიან. მათი გავლენისგან გათ-  
ავისუფლება კი სტიქიასთან ბრძოლას  
ჰგავს. და აი, მნერალი ადეპტ კასტორპს  
ნეტარი განმარტოებისას ქარბუჟში ახვე-  
დრებს. ჰანსი თხილამურებით სრიალისას  
ხანდახან ჩერდება, რომ პირველქმნილ  
სიჩუქეს მოუსმინოს. ჯოზზე დაყრდნო-  
ბილს თავი გვერდზე გადაუგდია და პირი  
დაუღია. თოვს. დინჯად მოფარფატე თოვ-  
ლის ფანტელები მშვიდად და უხმაუროდ  
ეშვებიან მინაზე. თანდათანიბოთ თხილა-  
მურებით გასეირნებები სტიქიასთან შეპ-  
მას ემსგავსება, ალელვებულ ზღვაში შეს-  
ვლას, „ორცა ბუნება გაიძულებს შეება,  
რათა შიშის გრძნობა დასძლიო“. ერთ-  
ერთი ასეთი განმარტოებისას მოულოდ-  
ნელად ქარბუჟი ამოვარდა და ადეპტმაც  
სიკვდილს ჩახედა თვალებში. კასტორპი  
გამოკდას წარმატებით აბარებს. ქარბუ-  
ჟთან ჭიდილისას ის არა მხოლოდ სიკვდი-  
ლის შიშის სძლევს, არამედ ორადობის  
მიღმაც გადის და ხვდება, რომ არც წაფა-  
ტას მხარესაა და არც სეტემბრინის, რად-  
გან „ორივენი მოლაყბენი არიან. ერთი  
ავხორცი და ბოროტია, მეორე კი მხოლოდ  
გონიერების საყვირს აყვირებს და დაუჩე-  
მებია, გიშის მოკვევიანებაც კი შემი-  
ძლიაო“. ჰანს კასტორპი ახერხებს პოლარ-



## ფიცისათა

ნაპირის ტალღები ნავებს რომ მიაქა-  
ნავებს და ჭიქაში გალღვება ყინული,  
ამ დროს თუ თვალს მოჰკრავ  
ბოსფორზე იალქანს, —  
გამოცლილ JAMESON-ს, —  
შეავსებს სტიმული.

წყლის შხეფი მღელვარე სტიქიას მაგონებს  
და მინდა გავანდო პირუთვნელ მეგობარს,  
ბომჯი რომ ნაგავში გაქექავს ვაგონებს,  
— stop kadr! — და  
...ჩავლილა სასტიკი ეპოქა.

თბილისურ ეზოში მოლბერტს სხვა ფასი აქვს,  
მხატვარი ჩარჩოზე გაჭიმავს მუშაბას,  
სალებავს განდობს ქალაქის ხასიათს, —  
შინაურ დიალოგს  
და ელამ მუშაბანდს.

აიგნის რიკულთან გუკვდავყოფ ბარიშნას,  
დეტალით იცნობა ეპოქის ამბავი...  
ნათქვამი ივარგებს,  
თუ თვალით განიშნა,  
რაც დარჩა უთქმელი და დაუსტამბავი.

ნიუ იორკის დამეში, როგორც „ნუ გეშინის“,  
ისმის Summertime... ელა... ლუია...  
ორი აკორდიდან იცნობა გერშინი,  
ვინც თავისუფლების  
სთქა: — ალილუა.

ცა, ყველა შორია, დუმილით ციურით...

იორკის,  
ბოსფორის  
და ვენეციურიც,  
მაგრამ თუ შემოკრა თოლიამ ირაო,  
უეცრად გახდება სივრცე მშობლიური.

და დგახარ წვიმაში... თუ ცას არ შეუში-  
ნდები და სამყარო  
რეული შეუშვი,  
ოლონდ კი შეუშვი და თუკი შეუშვი,  
სამშობლო გაკრთება ჩაკრულოს ხვეულში.

დგახარ და აიცდენ რეჟიმის შალაშინს,  
მიდისარ, მოყვება ბაროკოს პასაჟი,  
ცა გიცნობს, თვალისთვის დაკარგულს მასაში,  
თუ გაკრთა უფალი  
ამ ლექსის ფრაზაში.

## უცხო

მე ამ ქალაქში უცხო ვარ ახლა,  
მე ამ ქალაქში ვხდები ზედმეტი,  
რადგანაც ვცხოვრობ საფლავზე მაღლა,  
თბილის. კალა. გომის 11.

მინას ვარჩიე ცა ულიმიტო,  
უკან ვაბრუნებ ბილეთსაც გემის  
და თუ ვკამათობ,  
მარტო იმიტომ,  
სამშობლოდ იქცეს ქვეყანა ჩემი.

ყელში არ ჩადის მომთხლეო სითხე,  
არ იკითხება  
ის, რასაც წერენ...  
და ვერ აგნებენ როდესაც მკითხველს,  
ეტმასნებიან ერთმანეთს მერე.

წალენების ქალას ბლოკის მასივი,  
მოკითხავენ შეიღებს დედანი...  
გამოვიხედავ დედნის ასლივით,  
ლექსი დორჩება,  
როგორც დედანი.

მე ჩემს ქალაქში უცხო ვარ ახლა,  
მე ჩემს ქალაქში ვხდები ზედმეტი,  
რადგანაც ვცხოვრობ საფლავზე მაღლა,  
თბილის.  
კალა.  
გომის 11.

— მოდი, უჩემოდ შესცურე, გემო,  
შენთან კამათსაც უკვე მოვეძვი,  
რადგან ღირსებას ეძლევა გემო  
ამ უცხობის სიახლოვეში.

## პალატა №6

სიტყვით ავაგე წიგნის Palazzo,  
შენს სუნთქვას ვანდე  
მე ჩემი აფრა,  
მემორიალურ დაფის სანაცვლოდ  
ყდაზე სუექტაკლის დავკიდებ აბრას.

## დათო მაღრაძე



დეკორაცია: გემი, ბაგირი,  
ჩამოდის ქალი  
ნიმბით „Dior“-ის...  
და მოციქული პეტრეს მაგივრად  
წყლის პედესტალზე დგას აქტიორი.

ქალს უცდის ლექსი, —  
ნაპერწკალს დენთი,  
ტაძარში ისევ გამართეს დახლი,  
— ნუ შეეჭვდები! — მზად არის შენოვის  
სასამართლო და შეშლილთა სახლი.

— ნუ შეეჭვდები! და ილბალს ენდე,  
რადგანაც ერთხელ სიტყვას ეშვილე,  
გაახსენდებით ასი წლის ძემდეგ,  
ასი წლის ძემდეგ ისევ შეძლილებს.

მოქსოვილია პოეტზე მითი,  
მოედნება სიტყვა გესლივით,  
გამვერილია მსაჯულის თითი:  
— თქვენო ღირსებავ,  
აი, შეშლილი!

ფსიქიატრიულ სახლის პალატებს  
სიცივე მოაქვს მორგის კაფეელის,  
პოეტი სიტყვას ვერ ულალატებს  
და რჩება სიტყვის თანამზრახველი.

...როცა სიცოცხლე ვეღარ მამაცობს,  
პადრე აკურთხებს ლენინს და შერის  
და მოწყვეტილი ტაშის სანაცვლოდ  
სცენა ეთმობა ფოთლების შრიალს.

ჯერ სიმყრალეში სუნთქვამისჯილი  
მივდივარ, მომდევს ძალი — ყისმათი  
და მანუგეშებს,  
რომ თვით სიკვდილი  
განიჩინულია სიცოცხლისათვის.

დაკარგული დროის ძიებაში  
ინტერვიუ

თვალახვეული, დაგიდებთ ნაძლევს,  
მივაგნიბ ჩენენ ეზოს განთიადს,  
ბალუსტრადაზე გაფენილ საცვლებს  
საპჭოთა ყოფის კვალი ატყვია.

ბებომ: — ეპოქა ახლა გათავდა,  
სთქა და  
შემღვრა ჭიქა სამსალით,  
ახალმოსახლებ როცა ქათქათა  
გაფინა თოკზე ქვედა საცვალი.

გადავწევ თეთრი საცვალის ფარდას,  
ხელკავს გაუყრის მზის სხივი სარკმელს,  
...სემინარის შესასვლელ კართან  
ყმანვილის სუნთქვა  
საკეველს აკმევს.

ფოტოს ფოტო ცვლის, —  
ყაფლანს იასე...  
ორბელიანი გაერთება მაკო  
და იშხნელების შვიდსმიანზე  
თვალახვეული მივაგნებ აკორდს.  
მივაგნიბ, როგორც მლოცველი ტაძარს,  
როგორც მთვლემარე დედის მკერდს ჩვილი,

ან თუნდაც, როგორც პრომეთე ხანდარს,  
ან როგორც მამას  
უძლები შვილი.

ყოფის ენაზე რომ ვერ ითარგმნა, —  
ზღვის პორიზონტის აშლილ იალქებს,  
მივაგნებ, როგორც გემი ითაკას,  
როგორც ითაკას  
გემი, მივაგნებ.

თვალახვეული მივაგნებ სტრიქონის:  
— გასწი, მერანო! — მერანის დარად...  
და ის, რაც იყო,  
თუ მართლა იყო,  
სამივე დროში იქნება მარად.

...ამ ინტერვიუს, ხსლა რომ ვინერთ,  
თან მათზე ვფიქრობ, ვინც ცხონდა წინათ,  
მოღრილ ყელზე შევამჩნევ ბისერს  
და თქვენს კითხვაზე  
ვპასუხობ იმათ.

## დაცავაული და სასჯელი

ახალ ქარტებილს მე ვერ ვითავებ,  
ძველ ქარტებილებს თუკი გადავრჩი,  
ვნახავ სადგურის უცნობ მტვირთავებს  
და ჩავალთ სადმე  
ნაცნობ სარდაფში.

აგურის წყობის მბჟუტაც ალეას  
უუცქერ და მერანს შევხსნი სადავეს,  
სადაც ნესტი და სიალალეა,  
ღარიბის სუფრა  
და სისადავე.

და მეოცნებე როგორც კადეტი  
ჩემი იცნების ზღვაში გავედი,  
...ამ სისადავის სიდიადეთი,  
...ამ სიდიადის სისადავეთი.

და რაც დავირქვი სანთლის გუშაგი,  
ან ჩეგვარა  
მე ვარ რომელი?..  
უშიშროების მისმენს მუშაკი  
და მასმენს სუსის თანამშრომელი.

— ჩემი ქვეყანავ, შენი ნაპირი,  
რაც ვალიარე, როგორც ელადა,  
მას შემდეგ მექებს ყველა ბანკირი,  
როგორც ბარბაროსს გატამელატა.

ბრალი მიმიდლვის განა შაურის,  
ზღვა ვალი მანევს მხრებზე ამჯერად,  
— შენა ხარ ჩემი დანაშაული  
და მევლინები ახლა სასჯელად.

AVE, EVA!  
ისქესა სექსი

— ადამს მადა!  
— ევას Ave!  
აი, ია  
ევასსავე.  
— ავე, მადამ ევა!

\*\*\*  
უერთმანეთო დღეებია. ასეთ დროს წერა  
გამოსავალი სულ არ არის ანდა პირიქით...  
ზიხარ და ფიქრობ, რომ ცხოვრება უბრალოდ წრეა,  
სადაც გზები და ბილიკები, თუნდაც ირიბად,  
ერთმანეთს კვეთენ და საზღვრებიც ისე გბეზრდება,  
როგორც პავშვობისდროინდელი, ძველი ფობია,  
სიტყვების მიმართ, მათ რიგში: „მანჯი“, „ეგზემა“,  
კიდევ ათასი სისულელე, შენ კი მშობლიურ,  
დროში გამოცდილ და უტყუარ მეთოდს მიმართავ  
ანუ სასმელთან მიძალებით ტკივილს იქარვებ,  
რადგან საერთოს ველარაფერს ხედავ იმათთან,  
ვისთანაც ხშირად მოდიოდი, მაგრამ იქამდე  
იყავით ერთად, ვიდრე გზებიც გქონდათ საერთო,  
სანამ გესმოდათ ერთმანეთის, თანაც უთქმელად  
იყავით ახლო, ერთმანეთის მსუბუქ ჰაერთან  
და უფრო ახლოს, ოღონდ მძიმე (ამო)სუნთქვებით  
და ამ მომენტებს არ უჩანდა წერტილი, ბოლო,  
ერთი შეხედვით ყველაფერი იყო უზაღოდ...  
გულის სილრმეში ვიცინდით, სილრმეში, მხოლოდ,  
როგორც ჩანს, თავებს ვიტყუებდით,  
თვალებს ვხუჭავდით.  
უერთმანეთო დღეებია. ასეთ დროს წერა  
გამოსავალი სულ არ არის ანდა პირიქით...

ბავშვობა. ეზო. კლასობანა. ველოსიპედი.  
ორდირომბობანა. წრეში ბურთი. კიდევ რამდენი  
თავშესაქცევი თამაშობა. ლახტიც. ვადევნებ  
თვალს ძველ ფოტოებს. მასესენდება: ელისაბედი,  
ლუკა, ტიმოთე, ალექსანდრე, მართა, ელენე,  
სკოლის ბუფეტი და კედელთან სიო აფიშებს  
ულოლიავებს. იმ დროინდელ სიიაფეში  
ვპატიჟებთ სხვებსაც, ვიღას ახსოვს ბრომი, სელენი  
და ვაცყენთ შრომას, ფიზ. კულტურას, თვეზე მეტია,  
ყოველ პარასკევს ვიპარებით, ამ დროს დარაჯი  
თუ ისაღოლებს, თუმც შიში გვაქეს მისი ყავარჯისის  
ჰაერში ქნევის, განყორმისაც და სულერთია,  
ვინ რას იფიქრებს, ამ კანონებს — მეტაფიზიკურ  
გულს ვერასძალით ვერ დაგუდებ, უკვე დამღალა  
თვით ნიუტონმა, თვით კულონმაც, ჰოდა, ქალალდებს  
ცეცხლში ვუკეთებთ რვეულიდან, შატალოზე კი  
მუშთაიდში ვართ და დინამოს ჩებურეკებით  
ცხიმიან ტუჩებს მზეს ვუმალავთ, რომ არ დაგვისკდეს  
ნაზამთრალ სუსბი, თან თაბებაქოს ყიდვაც გავრისკეთ  
და რომ ვერ გვნახონ უფროსებმა, დავერეკებით  
სანაპიროსკენ, მტკვრის მიდამოს, ხიდის ქვეშ სადმე,  
თვალსაც შევავლებთ მეთევზებებს, ყანჩებს, თოლიებს,  
უზროს შეგონბრებს თავმომწონედ ავიყოლიებ,  
მოვყვებით სკოლის ისტორიებს, გარჩეულ საქმეს,  
მერე შუადღეც გადაივლის, წასვლის დრო მოვა,  
ავიღებთ ჩანთებს, ბოლო კენჭებს მტკვარში მოვისვრით;  
ადრე თუ გვიან, როცა ჩემ შეიღოს გვერდით მოვისვამ,  
მას მოვუყვები, ბაგშვიობაში რა სიტკბოც გვივე,  
ძველ ფოტოებსაც გადავუშლი: ელისაბედი,  
ტიმოთე, მართა, ალექსანდრე, ელენე, ლუკა,  
ეს ყველაფერი მოვიტოვეთ ბავშვობის უკან:  
კარიდან — კარში, კლასობანა, ველოსიპედი...

၃၁၄၁၈၁၆

დედაჩემს საკუთარი ჭაღლარისფერი ხალათი მოსაცას  
და ყოველ დილით ისეთი ეშით მიღუდებს ყავას,  
თითქოს ბოლოა. მე მასში ვხედავ მოსეს,  
რომელმაც შუაზე გაჟყო ზღვა და ბილიკად სავალ  
გზას მაჩვენებს გაღვიძებისას — დაძინებამდე.  
ის სრულიად ფეხშიველი დადის ტროტუარებზე,  
რათა მამცნოს ყოველი შუშის ნატეხი ან ნამწვი,  
რომელმაც შესაძლოა ფეხსაჭმლი შემიიახოს.

უკანასკნელი დღეებია, რაც მარტო ვებრძვი უუშენობთ გამოწვეულ დღეთა სიმრუდეს, თავიც ყველასგან გავირიყე და შევიზღუდე: წერილის წერა, მოკითხვები და თითქოს ბერწი დედაკაცივით დავტრიალებ ჟანგიან საწოლს, რაოდენ მძაფრად მაქვს გამჯდარი მისი ჭრიალი სხეულში, ტვინში, ფრჩხილებშიც კი, როცა ვწრიალებ ძილდაკარგული და ჩემ ოთახს არავინ არწევს, რომ თავბრუსხვევით მომეგვაროს ძილი, როგორმე, სასმელიც მორჩია, მასაც ველარ მოვიშევლიებ... ველარც სიზმრებში გავერთობი, მშვიდ და მშვენიერ, უცხო ასტრალში. მაგიდაზე მრჩება მალარმე, იქვეა ბროდსკიც, თუმც ორივე კარგა ხანია შემომელეჭა, უკეთ რომ ვთქვათ, დავიზეპირე მძიმე სიტყვების სიმსუბუქე, მსგავსად ზეფირის, მაგრამ სიზმარი ვერ ვიხილე ჰარამზანიდან, ძილის ღმერთების სამყოფიდან, სადაც ჰიპნოსი, ანგელოზივით ღამეს მითევს ისევ საძილე არტერიაზე და მოკლდება ყველა მანძილი გაღვიძებამდე, ცხელ ყავამდე და პაპიროსის ნელი მოწევით მილებული, ასგზის მოგვრილი სიამოწებით, საამაყით, კიდევ ათასი მსგავსი შეგრძნებით, უწვეულოდ კარგი პათოსით — ამ ყველაფრამდე, წერტილამდე და გადმოლვრილი,

## გიორგი ბალახაშვილი

უძილობიდან წინა ღამის, დამღლელ ხმაურით,  
რომელიც უკვე წლებია, რომ ყურში ჩამესმის...  
შემოვიჩივი ეს ხმები და უნინ ამრეზად  
რომ მივიჩნევდი, შევიყვარე, ჰო, უცნაურად,  
უფრო სათუოდ, უფრო რთულად, უფრო ეჭვითაც,  
დამეჯერება ასეთი რამ, მეტადრე პოეტს,  
რომელმაც შვება გონის ამშლელ ბერებში ვპოვე,  
რაც მარტო დავრჩი, მაგრამ უკვე ვეღარ შევწყვიტე  
ამაზე ფიქრი, რა ხანია უშენოდ ვებრძოვ  
უუშენობით გამოწეულ დღეთა სიმრუდეს,  
თავიც ყველასგან გავირიყე და შევიზლუდე:  
წერილის წერა, მოქითხვები და თითქოს პერწი  
დედაკაცივით დავტრიალებ ჟანგიან საწოლს...

\* \* \*

სალამო. სოფელი. ივლისი. ასეთი  
სურათი იშლება მეზობლის ეზოში,  
ბებია წარმოთქამს ძველისძველ შელოცვას,  
დილამდე გაუქრობს შვილიშვილს მეჭეჭებს...  
ბაბუას ხელთა აქვს თავისი გაზეთი,  
კითხულობს ხმამაღლა, ნყრომით და დებოშით;  
მინდორში თანდათან სიპენელე შემოწვა,  
დღის შუქი დროებით დაეცა ბეჭებზე.  
დაღამდა. სოფელი. ივლისი. სიმშვიდე,  
საცაა სიმინდებს მარცვლებად დაშლიან...  
ცაზე კი ვარსკვლავთა ტიხარი ივლება,  
ცა ამდენ ვერ იტევს, სავსეა, პირთამდე.  
მე ვწვები გულალმა და თვალებს ვიფშვნიტავ,  
ვიხსნებ ბებიას, შავეაბა-თავშლიანს,  
მის ხელებს, ნაოქებს და ჩალიმილებას,  
ერთად ვართ, ერთად ვართ, სიზმარში, დილამდე



አመሰግኩል በተመሳሳይ

ესლაქს

ქალაქს — გავსებულს მილიონით ან უფრო მეტი  
ჩამოსული თუ, როგორც არის, მკვიდრი მოსახლით....  
ქალაქს, რომელსაც გაუქვირეს ტრამვაი, მეტრო,  
სანთელი, ზეთი, ჯვარისნერა, პირში მივახლი:  
რომ ახლა მეტებს ეზმანება მწვანე კაზინო,  
რომ ვერ გავიგეთ აქამძმდე მტკვარის ბუტგუტი...

რომ სულერთია, აივება მაინც ხაზინა,  
თუნდაც ხელფასი დაებეგროთ: ექიმს, რეკრუტებს,  
ლეგტორებს, მწერებს, ადვოკატებს, კირითხუროებს,  
მათ ვინც ფუსტუსით ირევიან ღმერთის წინაშე....  
რომ დასარბევად მივადგებით იმ ბიუროებს,  
სადაც ადვილად ეწყობიან, რადგან მამაშენს  
ან იმის მამას კარგად იცნობს ცეკვას მდივანი  
და ერთი-ორჯერ უფრენიათ მოვრალზე მოსკოვში;  
სტუდენტობისას ერთად ნახეს დები, შხივანა,  
უნერის ტყეში იანვარი ნისლებს როგორ შლის.  
ქალაქში, სადაც ტელე-ეთერს ვუთმობთ ობამას,  
ანაც მაკეინს, არაფერი რომ ვთქვათ კლინტონზე....  
სადაც ბავშვებმა არ იციან „ორდრომბობან“  
და სენატორთა გვარები კი ოხრად, იცოცხელე,  
რამდენიც გინძა. მეგობრობენ სხვაგან, „twitter“-ზე  
ან „facebook“-ით მიჯნურობას ერთურთს უხსნიან,  
რა მოგახსენოთ ამინდების, ხალხის, თვით ერის,  
მაისის პირზეც თებერვალის უშნო სუსხია  
ასეთ ქალაქში, მილიონით ან უფრო მეტი  
ჩამოსული თუ, როგორც არის, მევიდრი მოსახლით.  
ქალაქს, რომელსაც გაუძვირეს ტრამვაი, მეტრო,  
ქალაქს, რომელსაც ამ ყველაფერს პირში მივახლი!

ენლანდ

მელანო, იცი? ჩვენი კოცნაც მელოდია  
არის ერთგვარი, როცა ქუჩაში  
დეკემბრის სუსხია და მელოდები,  
როდის მოვალ. ჩაგებუტები, კოცნას დაგიშენ  
და გეშინია, რომ არ მოვიდე. მაგვიანდება,  
ქალაქის საცობს ვერასძალით გამოვერიდე,  
ყველა პროსპექტი ბინძური და ნაგვიანია,  
შენ მეტროსთან ხარ, მე კი ახლა ზემო ვერიდან —  
რუსთაველისკენ მოვაბიჯებ, თანაც ქოშინით.  
წვიმს. სიცივეა. საღამოა. დღისგან დაღლილი,  
გზად უნდურად თვალს შევავლებ ქუჩის გოშიებს —  
სადარბაზოსთან შეუუჯულებს და მეც ძალლივით  
ჩამოვუყვები ქვაფენილებს, ჩიხებს და ვიწრო  
გადასახვევებს და სისველეს თმიდან, შუბლიდან  
მთელ პირი-სახეს ვუწილადებ, მალევე ვიგრძნობ,  
როგორ ვსველდები, ნეტავ მალე შემოუვლიდე  
წრეებს, წრენირებს, ამ ოვალურ ბალებს, სკვერებსაც,  
ეკლესიასთან ჩავიარე, ბავშვებს სანთლები  
სახეს უნათებს, მათ ნაწილს კი სეფისკვერებით  
უბე აქვს სავსე. მე კი შენ ნინ ვერ გავმართლდები,  
რადგან ჩვეულად ვიგვიანებ, შენ კი, მელანო,  
უკვე მომწერე, რომ მოხვედი, სადაც დროდადრო  
ერთმანეთს ვხვდებით და თვალებიც ისე დელავენ,  
რომ ვერ გიხილო, მაგრამ მაინც უნდა მოვასწრო  
შენამდე მოსვლა, ჩვენი კოცნაც მელოდია,  
დგახარ ქუჩაში, დეკემბერი თმაში შემოგდის...  
შენ მელოდები, მელოდები, კვლავ მელოდები,  
რომ მერე მითხრა გულმოსულმა, როგორ მელოდი...  
...და მე აქა ვარ, შენ ნინაშე, მოდი, გაგითბო  
ხელები, სახე, მერე წალმა სახე, ხელები...  
დავაგვიანე, მაგრამ აქ ვარ და მსურს დაგითმო  
ცხელი და ხშირი ამოსუნთქვა, ხშირი და ცხელი.  
მელანო, იცი? ჩვენი კოცნაც მელოდია  
არის ერთგვარი!..

ବାରସାମୀ

ინათა მთვარემ, გადიდგულდა ღამე-ოლრაში,  
მეძავთა ფუსფუსს უყურადებს მთელი ქალაქი...  
მე ვზივაარ მარტო. ჭიქა-ჩია, ქილა-ღოლნოშო,  
ვუყურებ სარკეს და ვემდური მოხუც დალაქებს,  
ვისი ხელებიც, ყოველ კვირას, სახეს პარსავენ  
ან შუა კვირას თუ მცალია, ხუთშაბათობით...  
დავსხდებით ხოლმე მე და ჩემი ძველი ვარსამი,  
ვსაუბრობთ ღმერთზე, ეიფელზე და ალბათობა  
ისე მცირეა, რომ ოდესმე ვიუბნებთ დინჯად  
პოლიტიკაზე. ცრუ ანარქებს მოაქვთ ქაოსი...  
„მე ჩემი ნილი უნდა გითხრა“ — გულიდან ხინჯი,  
შენიც გამანდე, არ გვჭირდება, რადგან ლაო ძი,  
ჩემო მოხუცო, არ გვჭირდება ფრონიდი, ნიცშე,  
ვიდრე სამყაროს დაუყენეს პირზე მაყუჩი;  
გადამაზინებდა სამართებლის ბავშვური შიში  
და შევიძულე უადგილოდ თვალის დახუჭვა.  
მაგ სამართებლით დავისერავ ოდესმე ხელებს,  
გუშინ საღამოს დავიტირე ჩემი ვარსამი...  
მე ვზივაარ მარტო, ნაციები, მანუქებს ხელა,  
მი აზიარ მარტო მოოუმზოთ ეაზ-ჰარა-ეა

\* \* \*

დაწერე ლე  
შენი რა მიღ  
სემირამიდი  
კიდულ  
ბალებზე,  
კიდულ  
ბალებზე —  
სემირამიდი  
დაწერე ლე  
შენი  
რა მითია!?

\*\*\*  
„ოტელო“ ეჭვიანი კი არა, მიმნდობიან, პუშკინს უწერია. ეფექტური, პარადოქსული, მახვილონიერული ფრაზაა... კიდევ რომ სიმართლეც იყო!

ენდობა ორპირ იაგოს და არ ენდობა სათონ დეზდემონას.

იმიტომ, რომ ავადმყოფურად ეჭვიანია. უკავიობის სენით არის შეპყრობილი.

„კომედია დელ არტეს“ მიხედვით ისიც პიერო, ეჭვიანობს თავის კოლომბინაზე.

„ტირის პიერო: კოლომბინა, ახ, კოლომბინა...“

ტიკიან ტაბიძის სტრიქონია, ალბათ შიულ ლაფორგით შთაგონებული.

\*\*\*

მეოცე საუკუნეებ ათასწლეულის დამთავრებასთან ერთად ბევრი სხვა რამეც დაამთავრა, რაც წარუფალი თუ არა, ასე იოლად დასამთავრებელიც არ გვევრონა.

პოეზიის ხელოვნება დაამთავრა, რებუსებად ან წყალ-წყალა ნარატივად აქცია.

რომანის ხელოვნება დაამთავრა, თავშესაქცევა სიუჟეტებად ან ფსედომეცნიერულ თამაშიდ აქცია.

ჯერჯერობით ასეა, დანარჩენს მომავლი გამოაჩენს.

მთავრებებს კია ლიტერატურა (და საერთოდ წიგნი) ამ კრიზისიდან გამოსვლას?

ჩემი თვალთახედვით, ძალიან შორეული პერსპექტივა.

უკეთეს შემთხვევაში.

\*\*\*

ნობელის შარშანდელი თუ შარშანინდელი პრემია პოვზიაშ ბობ დილანს, მომღერალს, მიენიჭა სასიმღერო ტექსტებისათვის. მიენიჭა და არა გადაეცა, რადგან მის მისალებად მისული არც უკიდისია. როგორც ამბობენ, გასტროლები ვერ გადადო.

ძნელი მისახვედრია, ნობელის კომიტეტს ამჯერადაც შეცდომა მოუვიდა, როგორც არაერთხელ მოსულია, თუ თანამედროვე პოეზიას შეგნებული სილა გაანა? მიიჩნია, რომ მან ეს სავსებით დაიმსახურა?

ან იქნებ საერთო ტენდენცია სწორად არის შემჩნეული და მომავლი მართლა ბარდებისა? მას შემდეგ, რაც პოეზია მკითხველიცა და თავისი ძევლი სახეც დაკარგა, სიმღერასთან დაბრუნება იქნებ მართლა საუკეთესო გამოსავალია?

ამაზე ხომ არ მიგვანიშნებდა კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, როცა შეგვახსნა, რომ ანტიკურ ხანაში ლექსები მხოლოდ იმღერებოდა.

ისე, ბობ დილანის რამდენიმე ტექსტს შიშვლად, უსიმღეროდ, გავეცანი. რაც ვნახე, საშუალო პოეზიის დონეზე ან არის, ან არა.

\*\*\*

მეტაფორა ყოვლად ბანალური პოეტური ხერხია, ისევეროგორც შედარება, თუ მისი სილრმიდიან განცდამ ან სილამაზებ არ ამოანათა. რაც, სამწუხაოდ, ძალიან იშვიათად ხდება.

თორემ სხვაფრივ რა საინტერესოა, — ავდექით და რაღაცა საგანი თუ მოვლენა რაღაცა სხვა საგანს თუ მოვლენას მივამსგავსეთ.

პოეტს ახალმა მთვარემ სატრფოს მოქრილი ფრჩხილი გახასენა.

ჰგავს? ძალიან ჰგავს.

მერედა რა? რა და არც არაფერი.

მთავარია, შინაგანი კავშირი უნდა იყოს დანახული, ანდა, რაც კიდევ უკეთესი იქნება, დალანდული. მაგრამ არც ეს არის საკმარისი.

კიდევ რა სჭირდება? რა სჭირდება და — „ა, ის ღრუბელი მიყვარან, ბოროლაზედ რომ დიანო...“

აღლო, შეგრძება, უეცარი აფეთქება. ის, რასაც სიტყვებით ვერ ახსნი.

\*\*\*

„შვიდი ვარდით გვიან“, წერს ლექსში პაულ ცელანი.

უაზრობა? შეიძლება უაზრობაცაა. არ ვიცი.

კარგია? ძალიან კარგია.

რისი მეტაფორა შეიძლება იყოს? დროისა? დღისა? ღამისა? იქნებ გან-

## დავით წერედიანი

# მარიამობის უძმობანი



თადიდისა, რომელმაც „აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება“?

მაგრამ ზუსტი განსაზღვრისთანავე სტრიქონი ყოველგვარ სილამაზეს კარგავს. ეტყობა, მეტაფორად არც არის სავარაუდებელი.

\*\*\*

„სარკეში კვირადება“. ისევ პაულ ცელანის სტრიქონია.

კარგია? ძალიან კარგია.

იქნებ დამეტმაროთ, თუ მეტაფორაა, რისი მეტაფორაა?

\*\*\*

არიან კრიტიკოსები, ლექსში მეტაფორებს რომ ითვლიან. თუ ტექსტი მეტაფორებით არის გაძერდილი, მაღალი ატრიბუტად ბევრ მათგანს რატომლაც მეტაფორა მიაჩნია. ეტყობა, უფრო ადვილი დასათვლელია.

არადა, ეს გაძერდილი ნაწარმი, უმეტესინდად, თუ ყოველთვის არა, ძალად გამოყელებილი სტრიქონების გროვაა.

როლან ბარტი ამგვარ წესით დამზადებულ ტექსტებს მეტაფორულ სალაფავს უწოდებდა.

\*\*\*

საყვარელი კაცია, მშვიდი, უწყინარი, ფიქრიანი. მთელი ბუნებით რაციონალურისაკენ მიდევეკილი.

ქუდებს კერავს, ხუდონდნენ იმსანად. დედაქალაქის პირველ მექუდესაც კი ეძახდნენ, ერთხელ თავისი საფირმო ქუდი ჩემს იგი მხოლოდ გამოსახურავდა.

\*\*\*

საყვარელი კაცია, მშვიდი, უწყინარი, ფიქრიანი. მთელი ბუნებით რაციონალურისაკენ მიდევეკილი.

ჩემს პრესაში სადღაც წავიტერები, რომ ცელანი ბარტი ლექსებს შვიდ თუ ცხრა ენაზე წერდა, რაც არ არის მართალი. ლექსებს იგი მხოლოდ გერმანულად წერდა.

\*\*\*

გერმანელთა მიერ მოწყობილი ჰოლოკოსტის მიუხედავად, გერმანული ენისთვის არ უდალატია.

ჩემს პრესაში სადღაც წავიტერები, რომ ცელანი ბარტი ლექსებს შვიდ თუ ცხრა ენაზე წერდა, რაც არ არის მართალი. ლექსებს იგი მხოლოდ გერმანულად წერდა.

\*\*\*

რაც შეეხება პლაგიატს, დღეს, კომპიუტერის ეპოქაში, მაგის შემოწმება თითოს როი გატკაცუნებაა.

ვნახე იმ სიყრის მეგობრის ლექსი და თვალებს არ დავუჯერე. სტრიქონები სრულიად იდენტურია, მხოლოდ ფორმულური.

ახალგაზრდა ცელანის აულია ამ სიყრის მეგობრის ტექსტი, უგლის და განმიარტა.

\*\*\*

მაგრამ მერე ეს თავისებურად განმარტებული ლექსიც რომ ჩავიტერები, ცოტა კი შევიტირიანდი: ჩემი ტექსტი მე თვითონ ველარ გავიზე.

ვიდრე ხელმეორედ, ახლა უკვე „უქუდოდ“, წავიკითხავდი.

\*\*\*

პაულ ცელანმა ჰოლოკოსტზე დაწერილი ლექსით „საკვიდოს ფუვა“ მსოფლიო სახელიან შთამეტჭდავი ლექსია, თუმცა მარტა საქამიშიში ალბათ მარც ტემას ჰქონდა გადამწყვეტი მისიშვენელობა, თორემ ბაულ ცელანს, ჩემი აზრით, აქვს უკეთესობის ლექსიც.

მერე და მერე დაირისა ხმები, რომ ლექსი მოპროცესის სიყრის თავისი სიყრის მეგობრის ტექსტი, მათგან უგლის და განმიარტა.

ამაზე პოეტს ბევრი უნერვიულია. ისე დაც ნერვიული კაცი იყო, დროდადორ საავადმყოფებში წოლა უწევდა.

ამას კიდევ სხვა ბრალდები და ერმატა.

ივან გოლის, სამეორანი ებრაული პოეტი, კერივიმა ქერივა ქერივანაში ლექსია, რითმები ჩამოუშორებია, სტრიქონები დაუშლია.

ანანერგებს და ამთლიანებს, ანანერგებს და ამთლიანებს, ფუგის პრინციპის მიხედვით.

\*\*\*

მსგავსი ინტერტექსტუალობა იშვიათი ნამდვილად არ არის.

„...რადგან ყოველი მწერალი ქურდიდა ყაჩალია“, ასე ამთავრებს ვრცელ ტირადას უილიამ ფრილენერი. არა, ლანდნდვით არ ილანდება, სიყვარულით ლაპარაკობს — თავისი თავიც მათ შორის ეგულება.

— რითმაც მოუპარავთ ჩუმითის და ზოგჯერ მთელი ს

ଭାବାବାବର୍ଣ୍ଣଙ୍କ

„რად ვიზრახე ბოროტი

ღმერთების კრებულში,  
ხალხის დასაღვეპად ომი რად გიზრახე!  
განა ეს ხალხი მე არ მიშობია,  
ახლა თევზებიგით

## ზღვას რომ ავსებენ?


ამრიგად, იშთარი-იზიდა მხოლოდ  
სიყვარულის ქალღმერთი როდია, ის (მშვენიერ ელენესაგით) საპრძოლო ჟინის  
აღმდვრელიცაა, მამაკაცური ენერგიის  
სისხლისღვრისკენ მომმართავი. წარღვნამდელ ეპოქაში ვენერა პანდემოსის  
მიწიერ განსხვეულებად წარმართ ქურუმებს მითიური პანდორა უნდა მიეჩინათ,  
პრომეტეს ძმის (ეპიმეტეს) ცოლი, მისტიკური საროსკიპოების მფლობელი,  
რომელთაც „დიაცთა სახლებს“ უწოდებდნენ. სწორედ პანდორამ ამიუშვა  
ყუთიდან სნეულებები და ცდუნებები, რომლებმაც წარღვნამდელი კაცობრიობა  
განადგურებამდე მიიყვანა. ოუმცა წარ-

IV

„ექლექისუდეც“ ებ გაცილენით მუშაობრვანია ქამის ცოლის ვინაობა. წარმატება ჰელაზე გებებს ისტორიული ხედვა არ ჰქონდათ, ისინი იგავებით საუბრობდნენ, სემიტებით აღეული კურიდა დაათე აღეგიერის „ლვა თაებრივი კომედიიდან“. დანტემ სამადა სამი ტერციით („სალნინებელი“ 30-ე ქება, ტაპები 85-93) მართლაც შექმნა მხ

## თემურ გაბუნია

# 30 ს დარაჯობს ეროვნის?



საკითხში უკეთ გასარკვევად გავიხსე-  
ნოთ „სალხინებლის“ 29-ე ქება, რომელ-  
შიც პოეტი იმ ნიშნებზე საუბრობს, ბეატ-  
რიჩეს გამოჩენას რომ უნდა უძლოდეს ნინ.  
პოეტს ჯერ ესმის უცნერა ურანიას ხოროს  
გალობა, შემდეგ ეჩვენება შვიდი ოქროს  
სე, რომელთაც მოგვიანებით შვიდ აპოკა-  
ლიფსურ სასანთლედ აღიქვამს, ატმოსფ-  
ეროში ვარვარებენ შვიდთა ფერთაგან  
შეკაზმული ჭრელი ზოლები, მერე კი  
ცაზე ოთხი ბიბლიური მხეციც ჩნდება,  
რომელთაც ექს-ექსისი ფრთა აქვთ, ფრთა-  
ბზე კი თვალებიც ასხიათ. „და რომ ნამდა  
ვილად ყოფილიყვნენ არგუსის თვალნი  
ზედმინებნებით ამგვარ თვალებს ემს-  
გავსებოდნენ“, დასხენს პოეტი როგორც  
ვხედავთ დანტე ქერუბიმების თვალებს  
იო-იზიდას მცველ არგუსისას ადარებს,  
მაგრამ მათ ალსაწერად არ აპირებს ლექ-  
სის დახარჯვას და გვირჩევს, მოვლენის  
არსში უკეთ გასარკვევად ეზეკიელი წავ-  
ითოხოთ:

„შენ ეზეკიელ წაიკითხე, ეს მან აღწერა,  
ვით მიდიოდნენ ყინულეთის

ბერე საუფლოდან  
ესენი ცეცხლის, ღრუბლების  
და ქარის ამაღლად".

ეზეკიელი ერთ-ერთი ყველაზე განათლებული წინასწარმეტყველი იყო, ისე ჯერ წერდა და მერე ქადაგებდა. თეოლოგები მას ხანდახან შექსპირსაც ადარებდნენ, რაფგან, მათი აზრით, ისე განირჩეოდა სხვა წინასწარმეტყველთაგან, როგორც შექსპირი — დანარჩენი პოეტებისგან. ასე რომ, დანტე ქერუბიმების აღნერილობასთან დაკავშირებით მისა ნათევამს ბევრს ცერაფერს შემატებდა. ჩვენი მოსაზრების საილუსტრაციოდ გავიხსენოთ ეზეკიელის წინასწარმეტყველების პირველი თავი: „და ვიხილე: ეპა, მოდის მძვინვარე ქარი ჩრდილოეთიდან, ცეცხლის ღრუბელი და ცეცხლის კონა, და ელვარება მის გარშემო, მის შუაში კი რაღაც კაშკაშა ლითონივით, ცეცხლის გულიდან ამომავალი“.

ამრიგად, ეზეკიელის პირველი თავისი  
ნაკითხვისას ნათელი ხდება, რომ დანტე  
ალეგიორის „სალბინებლის“ 30-ე ქების 85-  
93 ტაქტები ბიძლიურ ალუზიად უნდა მივა-  
იჩინოთ. ჯორჯ მარტინის შემთხვევაში კი,  
როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამმაგ ალუ-  
ზიაზეც კი შეიძლება ვისაუბროთ. მის სა-  
გაში გაზიარებულია არა მთლილი დანტე-  
სა და ეზეკიელის ხედვა, არამედ „გილ-  
გამეშიანისაც“. ამ უძველეს პოემაში

საუბარია მკვდრების გაცოცხლებაზე  
გავიხსენოთ როგორ ემუქრება განრიცხ  
ებული იშთარი გილგაბებს: „მკვდრებს  
ამოცივანა ცოცხლების შემჭმელთ და მკვ-  
დრები ცოცხალთ აღემატებიან“. ყინუ-  
ლის კედელზე დგას ჯონ სნოუ და ქვეყ-  
ანას გაცოცხლებული მკვდრებისგან  
იცავს. რთულია მსოფლიო ლიტერატურ-  
აში ვიპოვოთ სხვა რომელიმე თხზულება,  
რომელშიც იშთარის მუქარა ასე ზედმიწ-  
ევნით იქნებოდა შესრულებული. მეტიც,  
სამი ცეცხლისმთრძევებელი ურჩხულის  
დედას დენერისს იშთარის ზეციური  
ხარივით შეუძლია ქვეყნიერება ცეცხლით  
გაანადგუროს. ესეს დასაწყისში ჩვენ მი-  
მოვიხილეთ ტოლკინის თხზულება,  
რომელშიც ასევე სილმარილებში გამომ-  
წყვდეულ ცხოველმყოფელ ცეცხლზე იყო  
საუბარი. მაინც რაზე მიგვანიშნებენ  
ტოლკინი და მარტინ?

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში აღნერილი ქრისტიანობის რაღაც კაშკაშა ლითონის მსგავს საგანს სდარაჯობენ, რომელსაც ბიბლიის ებრაულ ტექსტში „ჰაშმალი“ ენოდება. ბიბლიის მთარგმნელები და კომენტატორები საუკუნეების განმავლობაში იმტვრევდნენ თავს, როგორ ეთარგმნათ ეს სიტყვა, რადგან მისი შესატყვისი არც ერთ ცოცხალ თუ მკვდარ ენაში არ არსებობდა. მანიც რას უნდა ნიშნავდეს ეს უცნაური სიტყვა? ეზეკიელს, რამდენადაც ცხობილია, ახასიათებდა აკუსტიკური მინიშნებები შორეულ მომავალზე საუბრისას. მის ეპოქაში რუსეთი, როგორც ქვეყანა, საერთოდ არც ასებობდა, თუმცა ბიბლიის კომენტატორებს მიაჩინათ, რომ წინასწარმეტყველებაში ნახსენები „როშის“ მთავარში, რომელსაც უკანასკნელ უამს მცირე ხნით გარკვეული ძალაუფლება უნდა მიენიჭოს, სწორედაც რომ რუსი ერის — „როშის“ ლიდერი უნდა ვიგულისხმოთ. მსგავსი რამის თქმა შეიძლება „ჰაშმალზეც“, ის H<sub>2</sub>-ის, ჰაშის მოლეკულა უნდა იყოს. აღნიშნულ საკითხზე წარმართ ქურუმებსაც ჰქონდათ გარკვეული ცოდნა, ამას „მაჰაბჰარატაც“ ადასტურებს და ქართული მითებიც ამირანის შესახებ. ინდურ საგალობლების საუბარია კვერცხზე, რომელიც წყალში ძევს, სწორედ ამ კვერცხიდან ამოდის ღვთაებრივი ცეცხლი სამყაროს შექმნისა და განადგურების უამს. ბროლის კვერცხის ფორმა აქვს იმ სასახლეს, რომელშიც ყამარია გამოკეტილი — ღრუბელთ ბატონის ქალიშვილი. ღრუბელიც ხომ თავისთავად წყლის დაბადების სიმბოლოა, უფრო სწორედ კი წვიმის მოსვლის უმთავრესი წინაპირობა? საგულისხმოა, რომ ღრუბელთ ბატონის ქალიშვილის გატაცებას დიდი წვიმა მოჰყვა, წარღვნის წინანდელივით უჩვეულო...

და, აი, მივედით იმ უმთავრესთან,  
რასაც თავის დოროზე ტაბუ დაადგეს და  
საგულდაგულოდ გაასაიდუმლოეს ქუ-  
რუმებმა: რისი სიმბოლოა კვერცხი და  
წყალი? როგორც უკვე აღვნიშნეთ, უძვე-  
ლეს მითებში ნახსენებია „კვერცხი,  
რომელიც წყალში ძევს“, სწორედ ამ კვერ-  
ცხიდან ამოედინება ცეცხლი სამყაროს  
შექმნისა და განადგურების უამს. წყალ-  
ბადი, Hydro-gen, Водо-род — აი, რომელი  
კვერცხი ანუ ელემენტარული ნანილაკი  
 $H_2$  დევს წყალში —  $H_2O$ -ში. — ბადი, -род,  
— gen (genezis) მსოფლიო ხალხთა ენებში  
დაბადებას ნიშავს (კვერცხი დაბადები-  
სა და ელემენტარული ნანილაკის სიმ-  
ბოლოა). მაშასადამე, აქ საუბარი უნდა  
იყოს რაღაც უძველეს ნინასნარმე-  
ტყველებაზე წყალბადის ბომბის შესახებ,  
იმ ელემენტარული ნანილაკის, წყლის  
მოლეკულაში რომ ძევს და რომლიდანაც  
ყოვლისძემექმნელი და ყოვლისძემმუსგრე-  
თა კუსხოს უმომად.

၅၀ ცეცხლი აძღვდის.  
ა, რომელ მისტიკურ ცოდნას დარა-  
ჯობდა ქარყუბიმი, ო-იზიდა და მისი შთა-  
მომავლები იყო წარმართულ მითებში ამ  
თაო არყოთ კონტინტი მავლინდა არა არ.

\* ზოგიერთ მკვლევარს, მაგალითად რობერტ გრეივს (ინგლისელი მწერალი და მეცნიერი) მაჩინა, რომ ის შპონელი ინტენსი იგივე ნიმუშების მასშად წოდებული ატლასია (აყვანილი მდინარის ლეთაების რანგში), რაც იმას გვაფიქრებინდეს, რომ ინგლისის ქალიშვილი იმ და ეკლექტიკური ერთს მორჩება. შეგვასა აზრისკენ გვიძინება რამდენიმე საგადასტურო მრავალსახილინძობაც. საგადასტურო, რომ ჯვილის რომანი „ფინევანის ქლევზი“ ქალი პრისონიაჟი უკეთ არა გადა (დიად დედა), არამედ მდინარის ღვთაებებად არან ქცეული. ამ რომანში ჯვილის რამდენიმე ასეული მდინარის სახელი აქვს ჩამოთვლილი.



\*\*\*  
თენებაო, მოხვედი,  
ერთ დღით კიდე მატერებ,  
თანთანა' ვერ ანამჯდარ  
ნალევ მთვარეს მაფერებ.  
მაინც რად დაგრ მიყვარხარ,  
სინათლეო, მაშტერებ,  
გათენდ, გათენდ, ამოთენდ,  
დროო, ვერ გაგაჩერებ.  
თენებაო, მოხვედი...


\*\*\*  
უკვდავა', უკადრისა'  
უკავილების მინდორში  
ნიავ მიმაფრენდ,  
ღუშ-ღუშა' ჩიტად ნაქნარს  
მზისძრად მიმაფენდ.  
უცბად გულაჩერებულს  
ღურჯ ცას მიმაკრევდ,  
უკვდავა', უკადრისა'  
უკავილებით ამსულ ველს  
ნიავ მიმაფრენდ...  
წუხრინასეც ჩიტ ვიყავ  
წინო-ბაინო.

\*\*\*  
აფაკურთას უნდ გვეტარ  
თეთრ, ღუნღულა' ზამთრებ,  
ქორეულთითა უნდ გველვ  
განათიბარ ნამჭრევნ.  
ნელეურთას უნდ გაგვევლვ  
ქული-დ ქულში მარცვლებ,  
თავზე უნდ ჩამოგვფენიყვ  
ცითავ ღვეთისნილ ნამცვრევ.  
აზლაპ, სუაც არაფერ  
სიყვარულის ნამწვევნ...  
ედემ განირულები-დ  
ჯოვოხეთში ნამწყვდევნ.

\*\*\*  
შვიდასოც თვემ გადი'არ.  
ცოტა' მეტმაც, თავზე.  
„რა' მ დაგაბერავ“, — არ მეითხვ,  
სიზმარში რო შემხვდებ...

\*\*\*  
ხოგაის მინდი არ ვარ,  
ჩიტის ენა მესმოდეს,  
კრავლიან გველ არ მყავის  
სისხლის წევთებ ვერ მლოკველს.  
არცა თეთრ გველის ნაფუთენ,  
სიბრძნისლებად მეჭმოდეს,  
ხოგაის მინდი მინდ ვიყვ,  
ჩიტის ენა მესმოდეს.  
გველის წორც ვერ მიჭამავ  
(ისიც კრავლიან გველის)  
რჯულ-კანონის ვერ მთმობელს.

\*\*\*  
მერცხალ გაზაფხულობით  
შავებში გამოწყობილ



მოვ, სიაცა შობილ.  
თავის კუთხეს ვერას სთმობს,  
თავის გამჩენს ტკმობილ.  
გაზაფხულ მოვ, მოფრინდებ  
ბუდე ვერ დათმობილ...  
მერცხალმაც იცის ალაგ, სია გაჩენილ...

ჩამტკმარ, ჩანაჩუმარ დღეა,  
სიონც რო არ იძრის,  
მზის სხივ დანაფარ,  
ვითომ ახლა' ას ნამყოფ,  
ეს სიტკმოება ნამზად,  
უფალ განაფარ...  
დასთა' დღეებიც თენდებ!

\*\*\*  
სი ხარ, სი დამეკარგებ,  
საფიქრლადაც რო მისხლტებ...

\*\*\*  
მოდ, ვიამბოთ ჩანაჩურ,  
კმილ-კმილს გადგმულ თუშეთზე,  
თავადა' რო დარჩ.  
ახლ რო მრეუ კაბა აცვი,  
ზამთრისპირის ფარჩ.  
მოდ, გეხვენებ, ვიამბოთ  
ჩეგნ განირულ თუშეთზე,  
დარჩიდ, ჩემთან, დარჩ.  
მალ რო თეთრად შეღმოსავს,  
პატარზლად რო ჩამოსეამს  
თოვლის მბენინავ ფარჩ.  
მოდ-მოდ, მოდ-მოდ, ვიამბოთ  
ჩეგნ არვის მგან თუშეთზე,  
დარჩ, დარჩ, ჩემთან დარჩ...

### ანასტასიას

ჩემ დახატულ ტასასომ  
გუშ მთელ გულით დამხატ,  
თვალებ თვალებდენაი-დ  
ტან არ, არც ტანს ბარხატ.  
კედელს ფრესკა რო გაცვდებ,  
ბებიკო ისრ ჩამხატ...  
ჩემ პატარა ანგელოზმ,  
ბებიკოსად თან ხატმ...

\*\*\*  
ლურჯ ცაზე დამხვდ დღეს ასულ  
დანამნიფ შემოდგომაა,  
მრეშ, მრეშ ხაზებ განასვამ,

\*\*\*  
საფიქრლის მეტ რა' მაქვის,  
უნდ გაგხსნ ფიქრის სკივრებ,  
უნდ მოვარვ უმყოფელ  
მთებ-გზებ,  
ზღვებ-ტბებ, მჭვივრებ.  
უნდ უთხრ, დარდის წამლობად  
იმათ თავ რო მჭირდებ...  
თვარამ ეს გულ გასქდების.

\*\*\*  
მალ ამდგარ ჩიტ პირს იწმედს,  
მძინარა' ჩიტ თვალთ იფშეტს,  
ადექ, საქმეს მიხედ თვარ,  
წუთისოფელ მიგჟვეტს.

\*\*\*  
ყვავს შევარდნად ზარდიდეს,  
მაინც „ყვა-ყვას“ იძახდ,  
ყორან არ გათეთრდების,  
ხეხვას გი'ცალ სიქავ.

\*\*\*  
დღეებ დღეებს მიხყვების  
სუ ერთმანეთს მგვანეებ.

\*\*\*  
ხანდხან რა მაგრ მწყინდების  
ნაჩერ დროის ლოდინ...

\*\*\*  
განაცვეთარ სურათებს  
გონში მთხილად ვხკინდავ.

\*\*\*  
ერთ ჩიტუნა' მიამბობდ, ცხრა ენა  
ვიცოდეო-დ  
მიმინომ დამქროლაო-დ ცხრაივ  
დამავიწყავ...  
ჰორ, მიმინ საშიში...  
სიისაკ რა პირს გიქამს დეგ ხარბ,  
დასამინავ...

\*\*\*  
სი წამივიდ, დამეკარგ  
შენ წსენების ცხროა.

\*\*\*  
ზღაპარში შემხვედრიხარ,  
ის ჩიტუნა' ანა' მ ხარ,  
დიდ ქვაბში რო ვერ ეტევ,  
პატარაში ლაღად ხარ.  
ას კაც გჭამსა-დ ვერ გერევ,  
ერთ კაცისად არამ ხარ...  
ხო, შემხვედრიხარ ზღაპრად,  
ის ჩიტუნა' ანა' მ ხარ...

ხან სკუპ-სკუპით წინ მიჯდებ,  
ხან ღურჯ ცაში ნამალ ხარ...

\*\*\*  
ერთ მტკაველიც რო ვერ ხარ,  
სულ კი მეტა' დიდ გდგმი,  
ალალ რადალ გქვანის  
თუ მტაცებლის უინ გყრი.  
მინდორში რო სთამაშობ,  
ათას გეგმას რო სჭრი,  
უცებ თავზე ვის დე' სხად  
ვის სამარეს სი სოხრი.  
ალალ რადალ გქვანის?  
ალბათ, დაცინვით...

\*\*\*  
ხანთხან სულ ჭორცს ეყრების,  
თვალ სუ ცისაკ ნაჭერალ  
ზეცისკ მშხეპრად მიფრინავს.  
ხანთხან გვამს ვერ განაყარ,  
თავნაპეზრი-დ მონაწყენ  
უღონოდა' მიხრინავს.  
უფრ მეტად ეკ წირცს გაყრილ  
ზესთა-ზეცისკ მიფრინავს...

\*\*\*  
დღე მოკლდებ, დამე გძელდებ,  
მთვარე ნელ-ნელ ბერდებ.  
ცა ვშირად ნაცრისფერ მფარ  
საფიქრელით შტერდებ,  
დღე ერთ ჩამში გადისა-დ  
დამე ძლივა' თენდებ.  
რა' ღონე გამი' ღვ ზამთარმ,  
თოვლ უფრ-დ უფრ ბერდებ,  
დღე მოკლა', დამე გძელდებ,  
მთვარე ნელ-ნელ ძველდებ.


\*\*\*  
წითელ მწარ რო გიჩინდა-დ  
საყვორლის კაბა ეგონ  
შირაკ მავალ ჭაბუკს.  
ის პეპელა' თუკი ხარ,  
ცოტა' ხანალ გამიჩერდ,  
არაფერ გაქვ სანუხ.

შენ სახელ დღესაც აქსონს  
იმ მელექსის წყალობით  
შეყვარებულ ჭაბუკო.

\*\*\*  
მენატრების ბალლობის  
მოურიალე დანომ,  
თვალნაფართალ,  
მთხოლელ ცხენ,  
თოკს ათრეულ პალოა.  
სოფელში შემოჩენილ  
ძუა-ფაფარ მშალოა,  
მალალა' თხელ ფენებზე  
შემდგარ ბებო დარომ.  
ივლიტეი-დ დარეკოა,  
ხნიერნ, ჩდილ-ჩდილ მფარონ,  
მზის ამოსვლიზდ სუყველა' თ  
ნასარკ არე-კარომ.  
ატო, კატო, ანეტო,  
საკო, სუუ უქმაროა,  
კერა' ით ცისკ ანაძაბ  
თეთრ ბოლ, თან უქარო.  
სალიკო-დ უქნიკოა,  
მანიუ', მზე მტანომ,  
კანუშე-დ მალინკოა  
ვერად ვერ მოცალონნ.  
ჩემ დედა მენატრების,  
სუუ ობლების მფაროა,  
მენატრების, მაგრამ, ეევ,  
ცხვა ვინ გა' ჩერ, ქარონ.  
როდიმდელ შემოგჩივლოთ,  
ან რომელ ერთ გთვალოთ,  
ამოდა' წმით ვეკითხებ,  
სიისკ ვინ ხართ, ქალო?!.

\*\*\*  
რაღაცა მომუქარე ღურბლებ დადიან,  
ცა დაბადუმ რეც-რეცით გულზე  
იტარებს,  
ალბათ მშეპრად დელგმ-ჭექვით  
ჩამოლვრის,  
გულს ასრ იკანებს.

\*\*\*  
ძელი ბილიკებს ვედექი-დ  
ქარაპების პირებსთან



# ლიტერატურული გაზეთი

ნაკანკალარ ვჩერდებოდ.  
დანატრებულ ჩემ თუშეთს  
თვალით ვშეჭმდე-დ ვზძერდებოდ.  
მითომ მწვერვალად ვიქციდ  
თავზე თოვლ ბუილით მფენ  
გულნამშვიდარ ვძერდებოდ.  
რას აღარ იხილავს კაც...

\*\*\*  
ნაბუქრის ნაბუერით  
კარსე-ბეღვაზ ი'მსვებოდ,  
მთვარე დამზრალ, განალიგვ  
მინამქრალარ ჩი'ცრებოდ.  
დილამდინას ნალოდნარ  
ნამიმარ მზე მი'ცრებოდ...

\*\*\*  
დავეჩერინ დუ'ჩეველს:  
სულის სიმარტოვეში  
გლიმდუ'ძვრელა' ცხოვრებას...

\*\*\*  
ჰო, მივდივარი-დ მივხესოვ  
ჩემ ნილ წუთისოფელს...

\*\*\*  
ზოგიზდ თენდებ ლამებ,  
ზოგიზდ უთენებელიი,  
ზოგს კარებზე მზე უნევს,  
ზოგთ კარს უქსენებელიი...  
აგთა' ყოფილ სამზეოა,  
წალის, გუ'ჩერებელიი.

\*\*\*  
გულზე ცა მაძ ნაავად,  
ულიმდამი ფერისაა,  
მწრებ დაკეცილ ჩამოყრილ  
ლონებულ ფერისად,  
როდისარა ა'კრიფების  
ლურბლებ ნაგლოვ ფერისაა,  
როდის ში'ფ-შემიფერთხებ  
ფთებ ანაბულ ფრენისად...  
ახლ კი სევდა-ნაღვლიანს  
ვერაფერ ვერ მშველის, არ.

\*\*\*  
სალამოვდებ, ჩემ ფიქრებ  
შემგლისფერებულ ცაზე  
რა' გვერც ხეებზე ყვავებ,  
ფხანკალ-ფხანკალ სხდებიან...

\*\*\*  
სიზმარშიაც ავირი,  
ცხადში ვინად ჩივის:  
მითომ ჩემ ლექსებითა  
თვალ-მარგალიტ ჭვივის.  
უფალ გულქანდს მაწვდისა-დ  
ვწედა ჩემ ლექსების  
სიზმარშიაც ავირი,  
ცხადში ვინად ჩივის.

\*\*\*  
მეა-დ თავნილა' ჩიტმა-დ  
ურნატა' — მეყორნია' მ  
გვუშ დასრ მოვიამბეთ:  
გაზაფხულ კავკასიონ  
ერთად გადმოვიაროთ,

ერთად მოვირაზმნეთ.  
მთელ ზაფხულ შენ ცა ვსეროთ,  
შენ მთა-წვერებ გავგალოოთ,  
ალარ მოვიბარნეთ.  
სამუდმოდ მანდ დავრჩნეთა-დ  
ხან გავწვიმდეთ, გავთოვდეთ,  
ბოლოს მოვიდარნეთ.  
თამარის ცისკრის ვარსკვლავ  
ერთად დავატყვეოთად  
საქართველომ გი'დაროს,  
გუშ აგრ მოვიამბეთ...

\*\*\*  
არ აშჩქარდ, მემრ დაგცხვენდებ,  
ჩემ ლექსებს რო გი'ცრობ...

\*\*\*  
ადგილ არ მაქვ ლექსების  
ისრისნერებ დუ'კრავა',  
ვითომ მეთაფლიაებთ  
თაფლ მანინწლეს მუ'მცდარად.  
ლექს ვარ ჯერაც გასაშიფრ,  
იცოდეთ, სუმუ'მკვდარა'...  
ადგილ არ მაქვ ლექსების  
ისრის წვერებ დუ'კრავა'...

\*\*\*  
ცაზე ლურბელ მოცურავს,  
გარეც სევდიზდ მამზადებს,  
უსულგულოდ გამიკდის  
გუშ ჩემ ფიქრებს აზრნარევს.  
ერთ წუთს გადმიმტკარებს  
გუშ მშლოარე ვარდნარებს,  
ცაზე ლურბელ გამოჩინდ,  
ვიც, ვიც, სევდიზდ მამზადებს...

\*\*\*  
ეთერო, წუ სწუნუნებ,  
სოფელს თავის წეს აქვ,  
მოგიყვანსა-დ უნდ წახვიდ,  
გაუწყვეტელ ფეს აქვ...

\*\*\*  
ბალლამისი-დ თათაბოს  
ცეცხლზე მიდგას მხალ...

\*\*\*  
რა' თავში ვიწლ სამზეოს,  
სიაც შენ არ ხარ,  
დღედა' ცალად მბულ წარით  
გქელ-მღლელ ყანებს ვხვნავ.  
ცრემლით ნარწყავა' ხორბალს  
რახ-რახ წისქვილ ვხფქავ,  
უგემურად ნაზელ ცომს  
თონეს კუტად ვსწვავ.  
ნელ-ზელ შენჯის მოსასვლელ  
მრუმე ბილიკს ვსწნავ,  
ალარ მილირ სამზეო,  
სიაც ალარ ხარ...

\*\*\*  
შენდაც მოდის, ეთერო,  
სისუ მესულ დღეებ,  
ძველებურად ვერ მწვანობს  
გაზაფხულის ტყეებ...



\*\*\*

ყეთა უდგას გამეჩხრილ  
სოფელ კანტ-კუნტ ძალლებს...

\*\*\*

ვლონობ, ვგონობ, ვდარდობა-დ  
მაინც ვერას ვადნობ.  
დაყრუვდ, დამუნჯდ ქვეყანაა.

\*\*\*

სარკესთან გავლ-გამოვლას  
ჯანგატეხილ ქალს ვხედავ.

\*\*\*

შემომეურებ ჩემ ლექსო-დ  
დედამიწა ჩემ მგონავ,  
იგრ მიკურნავ სატანჯველს...

\*\*\*

ზეცით ზარების რეკვას  
განასუსარ ვისმენ,  
„დიდება, შენდა, უფალო!“  
ცას ავზძან, ვერ ვითმენ.  
„დიდება, შენდა“...

\*\*\*

ეთერო, რად შეგეყრებ  
ზოგჯერ შიშის თირთოვ,  
სიკვდილ უფრ გაშინებსა  
თუ ხარბ ადამიან?

\*\*\*

მალ უნდ დავჯდე-დ თავ მუ'ყარვ  
ჩემ გაცვეთილ დღეებს,  
უნდ შევერიო-დ ვიკარგ  
ჩემ საფიქრლის ტყეებს.  
გულის კარებ უნდ გამუქს  
ჩემ სადარდლის ტყვეებს,  
მალ დავჯდები-დ გაგიშლით  
ჩემ ნაცვეთა' დღეებს...

\*\*\*

მთისათავ ნაწენარ ჯანლებს  
ფიქრებ მიგავის...

\*\*\*

სადარდელში ჩამრჩალ ვარ,  
რა' გვერც ლაფში ურემ...

\*\*\*

დილაიც ჩიტუნიამ  
ლაჭუპ-ლაჭუპ-ლაჭუპავ—  
ჩემ სარკმელსთან გი'ფრინ...

\*\*\*

ქოხსავით დიიდ ჩიტებივ  
აკალებზე ფრაშ-ფრაშ-ფრაშავ—  
თხლაფანით სხდებიანავ,  
ინანიშვილ ამბობს.

ნეტა, ვეგ ჩიტ რომელი?

\*\*\*

ადამიან ქვა ყოფილ,  
რა'ისად არ უძლი,  
ბოლოს მიწა-მტვრად ქცეულს  
შავ სამარე უძლი.  
მაინც დასთა' ნაწამებს  
სოფლიზდ ხოტბა უძლვნი.

\*\*\*

გულზე სევდიან დღეებ  
იგრ გადამდიან, რა' გვერც  
საწვიმარ ცას ლურბლებ...

\*\*\*

გულამოგლეჯით უსტვენს  
მწვანე ბაღში ჩიტ,  
სიყვარულის მგალობელ,  
სმენის სიტემოთ მფიტ.  
სიზმარს ღვავის ეს წუთებ,  
სასამოთხე მწიკვ,  
გულამოგლეჯით გალობს  
მდუმარ ბაღში ჩიტ...



ჯშირ ტყეს დე'ფერ სადარდელ,  
შიგ მზის სხივ რო ვერ ატანს...

\*\*\*  
გმადლობ, ჩემ ტკმილ უფალო,  
სიტყვა საკურნელად მბოძ,  
ქართულ სიტყვის ტაძარ მიგ,  
თუმურისა-დედაბოძ...

\*\*\*  
აი, სიქაგანაცალ,  
ნაქანც-გამოსუტულ  
თუშეთის გზას დავადექ,  
სულ რო გავიგარვაროდ  
კიდევ ერთხელ მზედ მოვიდ...  
მემრ რა'იც გინდ მოხქდეს...

\*\*\*  
ჩიტო, შენაც გამომყევ,  
თუშეთ ერთად ვნახოთ...

\*\*\*  
დედა ჩიტო, წუ ზდარდობ,  
შეილებ სუუ მიფრინავენ,  
ჩვენაც ჩვენ დედებს ერთ დროს  
სვიოდ ემაგრ დავსხლტით...

## თავზაზი

ხან შენ შალ გადმომიჩინდ,  
ხან შენ ნაკერ საბან,  
ბევრჯელ მიგ განახევეარ  
წუთს რო ჩავიცხრ ბაბან.  
ნიაციზდ მინაფენარს  
ტანს მზე მღულუნ მკაბავ,  
შენ აღარსი, ჩემ დედო,  
აღარ მომიხვ, აღარ.  
ხან შენ მანდილ შემეყარ,  
ხან ჩემდ ნაქსი კაბაა,  
თივთიკისას რო მიქსოვდ  
ზედ ცხემლ ნაზდზედ ნაბამ,  
შენ აღარსი, ჩემ დედო,  
ვეღარ მომიხვ, აღარ...

\*\*\*  
სამსვია' მთვარე მხედავს,  
იფინის ხეში გაჭედილ.

\*\*\*  
უუფლოდ არაფერ ქნილ,  
სუ სცდის უფალ სულდგმულს,  
ეთერო, ყველა' დილიზდ  
მადლენდით ცისე ხყვე სუმბულს.

\*\*\*  
ცერიატ დღეი, ცირცლის ხეს  
ფოთოლს სძაცვავს, ამცივნებს,  
ნარინჯისფერ, მრეშ მტევნებს  
ნაზენრ მთის ფონს ამჭვიერებს,  
ამის ყურებით ნატემობს  
არაფერ არ აგტეივდეს.  
უპ, რა ლამაზ სურათი.

ორი როიოლი: 1941-1943

1941 წლის 11 სექტემბერს, დამით, დახს-ლოებით 24 საათზე, საბჭოთა შინაგანმა ქალაქ ორიოლთან, დათვების ტყეში, ოლია ოკუპაცია დახვრიტა.

22 დღის შემდეგ 3 ოქტომბერს, ორი-ოლში გერმანელები შემოვიდნენ.

1943 წლის 5 აგვისტოს საბჭოთა არმია ამ ორიოლი გაათავისუფლა. იმავე საღა-მოს, 24 საათზე, გალაკტიონმა დაწერა ლექსი — „5 აგვისტო. 24 საათი“ და სამი დღის შემდეგ გამოაქვეყნა გაზეთ „კომუნისტში“ („გამარჯვების პირველი სალუტი“).

1990 წელს რუსულ პრესში გამოქვეყნდა „სრულიად სიადუმლო“ მასალები — „ტრაგედია და ომის ტყეში“.

ცხადია, გალაკტიონმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

## ლაგადები

ბევრი ლეგენდა გაამართლა. ბევრი ლეგენდა დაიბრალა. ბევრი ლეგენდა დააბრალეს.

ამ კატერნაც აბრალებენ:

როცა მოწებს არიგებდა,  
ლმერთს შეემთხვა კურიოზი:  
ხურჯინივით გადაკედა  
საქართველოს ორა სის.

## „იღიას მოტივი“

იღიას თანავარსკელავედის შვიდეულ-ში მოიხსენიებდა ყოველთვის და ხშირად გამოიწვევდა და გამოეხმაურებოდა და გაითანაბეჭოვობდა ხოლმე. ამჯერად ეს სტრიქონები არიგინალურთა შორის ჩარიცხვის პრეტენზიას აცხადებონ. იღიას უ-ლი პირველი ოთხი ამკარად შედევრალურია, როგორც ახლა ამბობენ, დანარჩენები კი ვერ ქაჩავენ, როგორც თანამედროვე ქარგონა გვეკრძანხობს. ამიტომ მეოცე სა-უკუნის ლირიკასმა სცადა გასწორება და გამოსწორება. მიაღწია თუ არა მიზანს, ესეც საკითხავია, მაგრამ ამის არშემჩნევა და არაღინმენა არ ეგბის. სათაურიც თვითონ შემოგვთავაზა, სხვაგან და სხვა დროს — „იღიას მოტივი“:

უსულეულო ცხოვრება  
ცის ნიჭი ნუ გონია,  
ისიც მინის ყოფილა,  
რასაც ბოლო ჰქონია:  
მუდამ უამაყოფილო  
ბედის გამათხოვრება,  
ბედის გაბედითება,  
ბედის კაკაფინია.

## ვაჟა და გალაკტიონი

ეპიზოდი როსტომ ჩეხიძის ნიგნიდან — „დევების სტუმარი“:

თედორ აზაიკაშვილის ოჯახში პოლიციიდან შემოწირნენ და ჩერეკას შეუდგნენ. ერთმა ბუხრიდან ნიკოლოზ მეორის სურათი გადმოიღო და აყვირდა, ვინაიდან სურათი თავდაყირა იდო. მიასთან იმყოფებოდა ვაჟა, რომელიც პოლიციელს შეეპასუხა:

— ყველა საგანს თავისი ადგილი აქვა.

1927 წელს გალაკტიონმა „ზარნიშან ნიგნში“ გამოაქვეყნა უცნაური ლექსი „ტყე“:

ტყე. მთვარეზე ნავის  
დღე უშინა.  
დათვს თავისი თავის  
ეშინა.  
ყოველივე საგანს  
ეშინა.  
სცივა გადანაქანს  
ტყეში ნიავს.  
ყოველივე საგანს  
ადგილი აქვა,  
თვით ნიავთაგანს,  
ბილის.

უცნაურია: ეს გამომწვევი ლექსი გა-ლაკტიონმა არ შეიტანა არცერთ შემდეგ გამოცემაში.

მოგვიანებით არანაკლებ საინტერესო ხანგრძლივი შეგონებანი ჩამოაზარცა და ამჯერად უფრო ზუსტად გაიმეორა:

— დათვს თავისი თავის ეშინა.

— ყოველივე საგანს თავისი ადგილი აქს.

## ვახტანგ ჯავახაძე

## ისევ გალაკტიონი

**ZZ ZZ**



**ZZ ZZ**



## ინტერმედიები



**ZZ ZZ**

ნიგნისთვის  
„უცნობი“

**ZZ ZZ ZZ ZZ ZZ ZZ**

## შეეძარა!

1938 წელს მირზა გელოვანმა დაწერა პოემა „შავნაბადა“ და ექვსჯერ დაიფიცა:

ქართლის მინავ, უტებილესო,  
საყვარელო ქართლის მინავ,  
ჩვენს ცხრათვალა დიად მზეს და  
ჩვენს ალისფერ დროშას ვფიცავ!..  
.....  
დალუბულთა ხსოვნას ვფიცავ,  
ქარსა ვფიცავ, ხეს რომ არხევს...  
.....  
ან დარჩენილ ლაბოს ვფიცავ!  
ვფიცავ სვანის ნათქვამ ლილეს,  
ვფიცავ ჩემი ლექსის ნინევს!

1940 წელს გალაკტიონ ტაბიძემ საგურამში დაწერა პოემასავით ლექსი „მშობლიურო ჩემო მინავ“ და ერთი რეფრენი-სტროფის თექვსმეტი ვარიანტი გაიმეორა ანუ თექვსმეტჯერ დაიფიცა:

მშობლიურო ჩემო მინავ,  
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
რომ დავიცავ შენს სიმაღლეს,  
შენი დროშის ფერს დავიცავ!

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

1942 წელს მირზა გელოვანმა ფრონ-ტიდან მეორე ლექსი მიუძღვნა გალაკტიონ ტაბიძეს:

არ შეედრება ის ქარი ამ ქარს,  
როგორც ვერადანდოს ვადანდოს  
ვერ შეედრებით —  
თქვენს ძვირფას სახელს  
უზომოდ მაღალს,  
და თქვენს ხმებს  
მე და ჩემი ლექსები.

შეედარა, როგორც ვხედავთ, პირიქით შეედარა: თვითონ გალაკტიონ ტაბიძე შეედარა მირზა გელოვანს.

## შევაძაროთ

1921 წლის უბის ნიგნაკში ერთი ნარ-

მატებული ვარიაცია დაგვიტოვა:

დასცხრი, გულო!  
ზღვაო, რა მოგივიდა,  
იქ, ნაპირან,  
ნუთუ ვეღარ მივიტან

შევადაროთ:

შემოდგომის ყვავილებს  
დიდებასთან მივიტან,

ერთი შორი ოცნება  
მახსოვს ძველ მოტივიდან,  
ვარდები არ არიან,  
მაგრამ რა მევარდება?  
სულო, რა გემართება?  
გულო, რა მოგივიდა?

ცხადია, ეს ლექსიც 1921 წლით უნდა გადავათარილოთ.

## ვაცლები, მაგრამ ვერ ავტილდები

„შენ აღტაცებით ისევ ენთები“ — პირ-ველად „ზარნიშიან ნიგნში“ დაბეჭდა 1927 წელს. ერთადერთი ავტოგრაფი უთარილო. ამიტომ პირობითად 1927 წლით დაა-თარიღდა.

2017 წელს გალაკტიონის ბინა-მუზეუმში უცნობბა ყმაწვილმა წარმოადგინა გან-სხვავებული უსათაურო დათარილებული ვარიანტი ლექსისა — „შენ აღტაცებით ისევ ენთები“:

მე აღტაცებით ისევ ვენთები,  
ქველი ტაძრები ისევ შენდება,  
ეცემერიდას გამოვენტები  
და ფერადებში გამითენდება.  
მთები სჩანს,

როგორც გიგანტი გრდემლი,  
იდუმალების რბიან ზვირთები,  
მომენატრება ბაგშერი ცრემლი,  
ვეცდები, მაგრამ ვერ აგტირდები.

1922 აგვისტო  
გალაკტიონ ტაბიძე

ესეც უნდა გადავათარილოთ.

## ერთი გავარდილი კაცი

ერთხელ იყითხა:  
— რა ველი მე პროლეტარული მწერ-ლობისაგან?

და უპასუხა:

— შეცდომაა იმის თქმა, რომ არსენას ლექსის ენა ეხლა არ გამოდგება.  
მერე აიღო „არსენას ლექსის“ შაირი:

შე წუნეო და მამაძლო,  
რათ იჭერდი ემაგ ტყვესა,  
ერთი გავარდნილი კაცი  
ტყეში ეფარება ხესა!

გამოიყენა კი არა — თითქმის გადაინ-ერა:

რა რისხაა თვალწარმტაცი,  
ამოვარდა ქარი შეაცრი,  
მე ხომ ხეგბს ვეფარები  
ერთი გავარდნილი კაცი.

და ბოლოს ახალი ყალიბი მოარგო:

წვიმს და ელავს, ქარი შეაცრი  
მოდებია მთა და ველი,  
ერთი გავარდნილი კაცი  
ტყეში ეფარება ხეს.

## სად ვაცლებით ერთმანეთს

ებ და... ფირმანილი

ფიროსმანის აბრებს შორის ყურა-დღებას იყრიბს „ნარაფი“: ხუთი ქვევრი და გასრი პირამიდის ორ თანაბარ გვერდს წარმოსახავენ და მათ აერთებს ბაფთაში ჩასმული წარნერა — მესამე ჰიორიზონტებით გვერდი, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევა ბაფთაშე წარმოსახანი პირველი მირველი მთავრული ასონიშანი — წილ, რომელსაც ყელი თამა-დასავით მოუდერებია, ამაყად გასცერის დანარჩენ ხუთ მენახება არის და თითქმის მღერის. მარცხნივ და მარჯვენივ თითო კუ-პლეტი იყითხება. პირველი ასეთია:

ატომები უმცირესი. ათასობით ატომი. არ იცავენ წესრიგს.

ატომები ცეცვავენ.

სიჩურ მდერის,  
იდუმალი მოისმის ნანა,  
როგორც მენავე  
ვენეციის ზღუდეთა თანა.  
მაღლვებს ჰანგი, არ ვიცი რატომ  
და უერთდება ატომი ატომის.

### გალაკტიონის რეკლამა და ანთირეკლამა

— იყიდეთ მელნი! ვინც კი იყიდა, ყველა პროფესიონი ან აკადემიკოსი გამოვიდა!

— აბა, მანინი! დანით დასაჭრელი მანინი, როგორც ყველი, ისეთი მანინი.

— ჰიმანასტიკა მუტრუზე არჩენს წელის ტკივილს!

— ვენდობი შაქრუას, ვენდობი ვანუას — შენ არ ვენდობი!

### ორთაზალა

1861 წელს გრიგოლ ორბელიანმა მიგვინვია:

ორთაზალის ბალში მნახე, ვინა ვარ!

1930 წელს გალაკტიონ ტაბიძემ ჩაინერა:

— რაფიელ ერისთავი ამბობდა: ის დრო სჯობდა, როცა ორთაზალის ბოზებს ტაკეზე ხელს ვუცაცუნებდიო.

და არც თვითონ გახლდათ გულგრილი 1956 წელს:

ნუ გადუსობ შალაშინს,  
რაც რომ ორთაზალაში  
ჩვენ დრო გვიტარებია

### ო, ნინება გულუარკვილობა!

თვითონ როგორ წერდა კი არა — სხვები რასაც წერდნენ, იმის შეფასებაც არ შეეძლო: ერთხელ გაბრაზებულმა ნოდარს უთხრა, კალე ბობოხიდე სიმონ ჩიქვანზე ნაკლები პოეტი კი არაა და, როცა ნოდარი შეერთა, თვითონაც შეერთა: რა, შემეძლაო?

1932 წლის 11 დეკემბრის დღიურში ჩაუწერია:

— ძალიან მინდა გავიგო, ხომ არ ვცდები ბობოხიძის შეფასებაში.

1949 წლის 10 სექტემბერს კი ქართულ-რუსული გალექსა:

როგორ იყო იმ დღეს, ა?

რუსმა უთხრა კალესა:  
„Пропадет моя телега,  
Все четыре колеса“.

მუდმივი გამოფენის იდეა ადრიდანვე ჩაიფიქრა, თუმცა დარბაზი ვერა და ვერ მოიპოვა. არადა, სათანადო პროსპექტს ხშირად აზუსტებდა. 1953 წელსაც შეადგინა ერთი ოცდათექსმეტსაფეხურიანი: საკუთარი ნანარმებების ბიბლიოგრაფია, ცალკეული გამოცემები, ფოტომასალა, რუსული ტექსტები, ნახატები, პრესა, გალაკტიონლოგია, მიძღვნილი ლექსები — ასი პოეტი, მწერლებისა და მეცნიერების მოსაზრებანი და მოულოდნელად მეჩვიდმეტე:

— კორიბას პოზიცია მწერალთა კავშირში.

იყო ერთი უპრეტენზიონ და მხიარული პოეტი კორიბა აროსა, რომლის არც ლექსები და არც პიროვნება არაფრთ გამოიჩინდა და არასოდეს იმსახურებდა აუდიტორის ყურადღებას. გალაკტიონი კი საგანგებოდ იმოწმება. ორი წლის შემდეგ, პირი სექციის თავმჯდომარედ რომ აირჩიების და აკაიის გარდაცვალების 40 წლისთავის ალსანიშნავი სალამ განიზრახა, მონაზილეთა სია ჩამონერა და ეს პიროვნება ყველასაგან განასხვავა — ოთხეულ მოიხსენით თანამიმდევრობით:

— აროსია კორიბა, აროსია კორიბა, აროსია კორიბა,

პოეტების სექციის თავმჯდომარედ რომ აირჩიეს, გრანდიოზული გეგმები შეადგინა. კლასიკოსები გაისხენა და არც თანამედროვენი დაივიზია. აქაც მოულოდნელად უაღმისად უაღრესად აღმატებულ

ხარისხში წარმოგვიდგინა ერთი მოკრძალებული კოლეგა:

— კლასიკოსების მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხი ანდრო თევზაბის შემოქმედებაში.

სამწუხაროდ, სამივე შემთხვევაში შეესალა.

### უცხო ვინა არ გაგონოთ

უცხო ხმაზე ლაპარაკობდაო და მხოლოდ ძველ ნაცნობებთან შეხვედრისას დაიბრუნებდათ თავის ბუნებრივ ხმას:

ირაკლი აბაშიძემ გაისხენა: „რედაქციის ერთ თანამშრომელს ვესაუზრუნველი და მოულოდნელად გალაკტიონი შემთხვევით აღმოჩნდა ჩვენს გვერდით. დაბაბული მანერებითა და ბუნებრივი ხმით წარმოსთქვა რამდენიმე ფურაზე ამინარი უგუნდრივი ბავშვი. გარდა ამინარი უგუნდრივი ეჭვიანობს, ხუთი-ექვსი საათითი იგივინებს ყველგან. როგორ შეიძლება ცოლი შეირთოს ადამიანმა, რომელიც ყველაფერზე ეჭვიანობს. ასეთ ემოციური არტისტს ცხოვრებაში მხოლოდ ისეთი მტკიცე ხასიათის ქალი დამკვიდრებდა, როგორიც ვერა არატუროვნაა, მაგრამ ასეთები ცოტანი არიან.“

ეს კატრენი გალაკტიონს ეკუთვნის:

ვინც ევროპას გავემგზავრეთ  
თუნდაც ცალკე, ერთად თუნდა —  
ყველა რალაც უკრაურად  
არეკილი ჩამორუნდა.

### „პარატის ტაძრის ნაგვრევებთან“

მაგიდაზე ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმის ფრაგმენტი ედო. სასულიერო სასავალებელი, სადაც რვა წელი გაატარა, ტაძრის გალაგანთან იდგა და ბინაც იქვე ჰქონდა ნაქირავები გორაზე. როგორც ამბობდნენ, სასულიერო სასავალებლის სამსართულიანი შენობა იმ განზრახვით ააშენეს, რათა ქალაქიდან ტაძარი არ გამოჩენილიყო და ამავე მიზეზის გამო დააგრძიოს მეოცე საუკუნის მიწურულს.

გალაკტიონი, როგორც თვითონ იგონებს, უფროს ძმასთან და თანატოლებთან ერთად, საკამაოდ დიდხანის ერთობლივ ანგრევებს შეირის და მალე ლექსიც დაანერა „ბაგრატის ტაძრის ნაგვრევებთან“, როგორც ამბობდნენ, სასულიერო სასავალებლის სამსართულიანი შენობა იმ განზრახვით ააშენეს, რათა ქალაქიდან ტაძარი არ გამოგვიდა კარგოვეებია. ჩემი ვაჟთა პირველი სკოლაც შეირის არ იყო და მე ჩემი კლასელები ხანგამოშვებით ავდიოდით გორაზე. აქედან გავუზრუნდებით გელათის, რომელიც მხოლოდ მზიან განვითარებით ადრეს ამინდში ჩანდა კარგად. იქვე გვირაბი იყო და ქვემოთ — წყარო. მეტ ხშირად მიძრომიალია ვებერთელა ლოდებს შორის და ზაფხულის თვეებში ხშირად შემიმწევიარებილი. ამიტომ განსაკუთრებით მემორილურა, როდესაც გალაკტიონის ჩანაწერებში ამინიკითხებით:

— ჩემ რა გაგვაჩერებდა და რა დაგვაეპებდა, ნანგრევების ხელიკეილით ჩავრბოდით და ამოგრბოდით.

და სხვა დროს — თოთხმეტმარცვლოვანი მეტაფორა:

— ბაგრატის ტაძრის ნაგვრევების ხვლიყი ვიყავი.

### „უაირველასი მომარისადან მავათა“

1975 წლის 10 აპრილს მხატვარმა ლევან ცუცქეირიძემ უშიბო ანა კალაკტიონში:

— ნიკოლოზ კანდელაკე სახელის სამომავალი, გალაკტიონლოგია, მიძღვნილი ლექსები ასი პოეტი, მწერლებისა და მეცნიერების მოსაზრებანი და მოულოდნელად მეჩვიდმეტე:

— მეტ ერთხელ გადატერებით ჩავრბოდით და ამოგრბოდით.

და სხვა დროს — თოთხმეტმარცვლოვანი მეტაფორა:

— ბაგრატის ტაძრის ნაგვრევების ხვლიყი ვიყავი.

### რიკოგო

გიორგი საკაძე ლექსებში მხოლოდ

ერთხელ ახსენა — „არაგვი“:

სამას არაგველი კაცის  
შენ იმდერე იავნანა,  
თავდადება საკაძის  
და ირაკლის მძაფრი ხანა.

ისე ხშირად ამბობდა:

— რა უნდა ამ სიმონიკას, რუსეთიდან

რომ მიტევს, გიორგი საკაძე ხომ არ არი-

### „ტიციანის ტიციანელონის არა მარტო

ტიციანის ტიციანელონის არა მარტო გალაკტიონი ეძახილი მეუღლები ნინო მაყალილიც:

— ჩემ ძვირფასი ტიციანელონი ალფრ-

თოვებული იყო კახეთით.

მხატვარი სურგული მეუღლები ნინო მაყალილიც:

— დაბრუნდა საუკუნის ეკატერინების უკანასკნელი მარტონი მარტონ შემუღლები და ალფრ-

ინი მარტონი უკანასკნელი მარტონ შემუღლები და ალფრ-





## მცირებალი

## რუსულან რუსაძე

რუსუდან რუხაძე პროფესიით უურნალისტია და 1996 წლიდან მოყვოლებული სხვადასხვა გაზეთთან და უურნალთან თანამშრომლობს. დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 2008 წელს კი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში მედიამედინგის და უურნალისტიკის მაგისტრის ხარისხი მიენიჭა.

მხატვრული პროზის ნერა 2013 წელს დაიწყო, მისი სადებიუტო მოთხოვობა — „შობის ნინა დილა“ — „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა. 2013 წლის ბოლოს კი გამომცემლობა „ინტელექტმა“ „ლიტერატურულ გაზეთსა“ და „ლიტერატურულ პალიტრაში“ გამოქვეყნდულ მოთხოვებს თავი მოუყარა და რუსულანის პირველი კრებული — „ჩაისთან მოსაყოლი ამბები“ — გამოსცა. ერთ-ერთი მოთხოვობა კრებულიდან — „ადა და ევა“ — იმავე წელს ლიტერატურულ კონკურს „ნეროს“ მესამე ადგილის პრიზიორი გახდა და ნიგნის მაღაზია „სანქტა ესპერანსას“ რჩეულობა ერგო. მოგვიანებით „ადა და ევა“, „ბაჟურ სულაკაურის გამომცემლობის“ ყოველწლიურ კრებულში — „15 საუკეთესო მოთხოვობა“ — შევიდა. მისი მოთხოვები ნათარგმნია ინგლისურ, გერმანულ, თურქულ და აზერბაიჯანულ ენებზე და შესულია სხვადასხვა უცხოენოვან ანთოლოგიში.

„ჩაისთან მოსაყოლი ამბები“ ღიტერაცურული პრემია „საბას“ 2014 წლის ნომინაცია საუკეთესო დებიუტისთვის.

„ერთი თქვენგანი გამცემს“ მნერლის მეორე კრებულია, რომელიც ასევე „ინტელექტმა“ გამოსცა 2016 წელს და ნიგნის საახალწლო ფესტივალზე გამომცემლობის ძეგლთველერი გახდა. თუმცა ამით არ დასრულდებულა კრებულის ამპავი — წელს რუსუდან რუსაეს ამ ნიგნისთვის ლიტერატურული პრემია „საბა“ გადაეცა „საუკეთესო პროზაული კრებულის“ ხომინაციაში.

— ლიტერატურულ კონკურს „საბას“ ნომინანტობა თქვენთვის უცხო არ არის. პირველი წიგნი „საბაზე“ გამომცემლობა „ინტელექტუალის“ წარადგინა, წელს თქვენი მეორე კრებულის წარმდგენიც „ინტელექტი“ იყო და ამჯერად ჟიურიმ „ერთი თქვენგანი გამცემს“ წლის საუკეთესო პროზაულ კრებულად აღიარა. რა ემოციური გამოცდილებაა ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან და მასშტაბურ ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობა და მით უფრო — გამარჯვება?

— ზოგადად, რამდენად განაპირობებს, თქვენი აზრით, ასეთი კონკურსები ლიტერატურული პროცესების განვითარებას, რამდენად ამდიდრებს ლიტერატურულ კენოვრებას?

საკამათო არც გამხდარიყო. ასევე, ვისურვებდი ჟურნალი ლიტერატორებთან და მწერლებთან ერთად მკითხველიც აღმოჩნდეს. ნიგნის მთავარი შემფასებელი მაინც მკითხველია.

— ფაქტია, რომ „საბაძ“ თუ სხვა კონკურსებმა საქართველოში ღიტერატურული ცხოვრება გამოაცოცხლა და წაახალისა. ყოველწლიურად იმატებს „საბაზზ“ წარდგენილი წიგნების რაოდენობა. ხშირად ავტორები ცდილობენ, წიგნი წლის ბოლომდე გამოსცენ, რომ კონკურსზე წარდგენ მოასწრონ. თუ ეს სისწრავე ტექსტის ხარისხს არ აზარდებს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღიტერატურული კონკურსი მწერლისთვის ჯანსაღი მოტივაციაა. პირადად ჩემთვის კონკურსში მონაწილეობა საინტერესო გამოცდილებაა. გამარჯვების მოპოვებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ღირსეულად შეხვდე სხვის წარმატებას. კონკურსის სასარგებლოდ უნდა ვთქვა ისიც, რომ „საბაძ“, „შორთლისტი“ ერთგვარი რეკომენდაციაა მკითხველისთვის, რა წაიკითხოს.

— იცნობდით თუ არა თქვენი კოლეგა-კონკურსნების ნამუშევრებს და სხვა ნომინაციებში თუ გყავდათ ფავორიტები?

— ფინალისტი წიგნების დიდი ნაწილი „საბაძს“, „შორთლისტის“ გამოქვეყნებამდე მქონდა წაკითხული. თანამედროვე ქართული ავტორების ტექსტები ყოველთვის განსაკუთრებით მაინტერესებდა და არასოდეს გამჩენია განცდა, რომ ღირებული აღარაფერი იქმნება. თუ თარგმანის კითხვისას კულტურა უკლტურას ესაუბრება, მშობლიური ტექსტის წაკითხვა გაცილებით ინტიმურია — მკითხველი და მწერალი ერთ ენაზე ლაპარაკობენ და ნახევარსიტყვებშიც კიერთსა და იმავეს გულისხმობენ. ეს ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, ხანდახან უფრო ამაღლეულებელია, ვიდრე რომელიმე

— မားကြပ်၊ ရာ မောင်းနောက် „စာပာရေး“ ဖူး  
၏ရှာချွေဖော်လုပ်တွေ?

— „საბაძ“ ლიტერატურული დღესასწაულია. მნერლებიც და მკითხველებიც მოუთმენლად ველით ხოლმე ფინალისტების თუ გამარჯვებულების გამოვლენას.

„საბაძ“ დაარსების დღიდან განსაკუთრებით ვგულშემატკიცირობდი პროზაული კრებულის ნომინაციას. რა თქმა უნდა, ნელსაც მყავდა ჩემი რეზეული.

„საბაძ“ თავისოთავად დიცვლება. იყონ წლები, როდესაც შევიდეკაციან შუიურიში მხოლოდ ერთი ქალი იყო. ახლა ასე აღარ არის და ეს მნიშვნელოვანია, რადგანაც ქალები და კაცები სხვადასხვაგვარად კითხულობენ ტექსტს. ბოლო წლებში კი საგრძნობლად იმატა მნერალი ქალების რაოდგნობამ კონკურსის სტატისტიკური სტატისტიკური კონკურსის შეასრულა.

- გაიხსენეთ თქვენი პირველი მოთხოვნა, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბაჭეთ 2013-ში.
- პირველი მოთხოვნა იყო „შობის წინა დილა“, რომელსაც იმტიომ დაგარქვი ასე, რომ მოთხოვნის წერა 6 იანვარს

დავასრულე. ეს გახლავთ პირველი ამბავი, რომელიც გამოვიგონებ. რეალური ამ მოთხოვაში მხოლოდ დრო, ჩაის სიყვარული და ჩემი მეგობრის დაწერილი ზღაპარი, რომელსაც ტექსტში ვახსენებ. ისე დავიწყებ წერა, რომ ერთი ფრაზის მეტი არაფერი მიტრიალებდა თავზე: „გადაწყდა, ანა ხვალ მკვლელობას საკუთარ სამზარეულოში ჩაიდენს“. მერე თანდათან გამოიკვეთა სიუჟეტი, შემოგვირთდნენ სხვა პერსონაჟები. მოკლედ, ნისლი იყო და ცუდი ხილვადობა, მაგრამ საბოლოოდ გზა გავიკვლიე ფინალამდე. ეს იყო წერა აღმოჩენებით და ჩემთვის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოცდილება. სადებიუტო მოთხოვა ერთი თვის თავზე დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზიერში“. „შობის წინა დილას“ მალევე მოჰყვა სხვა მოთხოვაში და წლის ბოლოს პირველი კრებულიც გამოიცა.

— „შობის წინა დილა“ იღ ბლიანი აღმოჩნდა, არა? „ლიტერატურულ გაზეთსა“ და „ლიტერატურულ პალიტრაში“ გამოქვეყნებული მოთხოვნებიდან დაიპატა თქევენი პირველი კრებული. მისი

# „ მუზეუმი არასანდო სალებია

ერთ-ერთი მოთხოვბა კი — „ადა და ევა“ — ჯერ „ნეროს“ პრიზიორი, შემდეგ კი წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსას“ რჩეული გახდა.

— პირველ მოთხრობაზე მეტად იღ-  
ბლიანი „ადა და ევა“ აღმოჩნდა. ეს არის  
„ჩაისთან მოსაყოლი ამბების“ ერთადერ-  
თი მოთხრობა, რომელიც ერთ-ერთმა  
ლიტერატურულმა ჟურნალმა არ დამიბე-  
ჭდა. მომწერეს, რომ ტექსტი დასახვერია,  
თუმცა ხელი ვეღარ ვახლე. ადა და ევა იმ-  
დენად ცოცხალი, სისხლსავსე პერსონაჟე-  
ბი იყვნენ, რომ ავტორის ადგილი იმ ტე-  
ქსტში აღმო იყო. როგორც მოგვიანებით  
გაირკვა, ასე მხოლოდ კარგი ამბები იწყე-  
ბა. გამოუქვეყნებელი მოთხრობა  
„წეროზე“ გავაგზავნე და გოგოებს პირვე-  
ლი გულშემატკიცრებიც გამოუჩნდნენ. მოგვიანებით  
მოთხრობა „სულაკაურის  
გამომცემლობის“ წლის საუკეთესო  
მოთხრობათა კრებულში შევიდა და  
თურქულ და აზერბაიჯანულ ენებზეც  
ითარგმნა. თუმცა, მოხდა ისე, რომ ადა


მოთხოვთამ, რომელიც ორი ქალის სიყვარულზეა, ფერი იცვალა და სოულიად განსხვავებულ ამბად იქცა. თუმცა, ესეც ამ გოგობის თავგადასავალია.


— პროფესიონალუსტი ჟურნალისტი ბრძან-  
დებით, არაერთი მწერალი ვიცით, რომელმაც წერა დაიწყო, როგორც ჟურ-  
ნალისტმა და დაასრულა, როგორც დიდ-  
მა მწერალმა. არადა, თითქვს, სად ჟურ-  
ნალისტიკის ენა და სად ლიტერატურუ-  
ლი, სად ჟურნალისტური, ერთგვარად,  
ზედაპირული ხედვა პრობლემების და  
სად მწერლისმიერი აღქმა სამყაროსი.  
რა კავშირი აქვს ერთმანეთთან ამ ორ  
სფეროს? რამდენად დაგეხმარათ ჟურ-  
ნალისტის პროფესია, პერიოდულ  
გამოცემებში მუშაობის გამოცდილება  
ან რამდენად შეგიძალათ ხელი?

— ჟურნალისტობას მხატვრული  
პროზის ნერაში ხელი ნამდვილად არ შეუძლია, პირიქით, ეს გამოცდილება გამომადგება კიდეც. იმის გამო, რომ წლების განმავლობაში ჟურნალ-გაზეთებთან ვთანამშრომლობდი, თეთრი ფურცლის შიში არ მქონია. ერთ დღესაც ვიყიფრე, თუკი ნამდვილი ამბების დაწერა შემეძლო, იქნებმეცადა გამოგონებაც. ჟურნალისტიკაში მთავარი წყაროები, ბალანსი, გადამოწმება და სიზუსტეები, აქ სრულიად თავისუფალი ხარ და სწორედ ეს ართულებს საქმეს. ხშირად ჟურნალისტები, რომლებიც სტატიის ფორმატში ვერ ატევენ წლების განმავლობაში დაროვილ მასალას ან სათქმელს, დოკუმენტურ პროზის ნერას იწყებენ. ეს ალბათ უფრო ბუნებრივია, თუმცა მხატვრულ ლიტერატურაშიც მრავლად იყვნენ და არიან ამ პროფესიის ადამიანები. ერთი რამ ცხადია, დღეს მედიას მეტად შეუძლია ჩვენი ცხოვრება შეცვალოს, ვიდრე ლიტერატურას.

— საინტერესოა, როგორ დაიწყეთ  
წერა, როდის გაჩნდა თქვენმი მწერლო-  
ბისადმი ინტერესი, რამდენად ინტენსი-  
ურად მუშაობთ?

— როგორ ხედავთ თქვენ, რამდენად  
ან როგორ შეიცვალა, წლების განმავლო-  
ბაში, თქვენი ნაწერები? რამდენად გან-  
სხვავებულია ადრინდელი მოთხოვობები  
ბოლოდროინდელისგან, შესაბამისად,  
პირველი კრებული — მეორისგან?





— ძველ ტექსტებს იშვიათად გუბრუნდები, თუმცა ამ ბოლო დროს რამდენჯერაც გადავავლე თვალი, იმდენ-ჯერ რაღაცის შეცვლის სურვილი გამიჩნდა. წარსულს ვერ ვცვლით, ამიტომაც შევევში. ძველ და ახალ მოთხოვნებს შორის მთავარი განსხვავება ალბათ ის არის, რომ ახლა უფრო დინჯად ვყვები ამბებს. პირველ მოთხოვნებს გაცილებით მოკლე დროში ვწერდი და თხრობის რიტმიც აჩ-ქარებულია. ამ გადასახედიდან მერვენება, რომ პირველი კრებული ზედმეტად ესთეტიკურია. თითქოს საგანგებოდ ვალაგებდი ოთახებს, სადაც ამბები უნდა გაათავაშებულიყო. ახლა თანდათან ვაცნობიერებ, რომ პერსონაჟის გარემო ავტორის პირადი სივრცე სულაც არ არის და პერსონაჟებს აქვთ უფლება, იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან.

— დალიან მინდა, ბოლო კრებულზე მელაპარაკოთ, ის ხომ წლის საუკეთესო პროზაული კრებულია. როგორ იქმნებოდა, იკინძებოდა, როგორ ისხამდა ხორცს წიგნი სახელწოდებით „ერთი თქვენგანი გამცემს“?

— მეორე კრებულს უფრო ხანგრძლივად ვწერდი, ვი-  
დრე „ჩაისთან მოსაყოლ ამბებს“. მიუხედავად იმისა, რომ  
პირველ კრებულს გამქრალ გოგოებს ვუძღვი, მოთხო-  
ბა მათზე მოგვიანებით დავწერე. ამიტომაც, #რძისფერ-  
იჰინა „მეორე კრებულში აღმოჩნდა. როდესაც მოთ-  
ხობაზე ვმუშაობ, კრებულზეც ვფიქრობ. ვცდილობ,  
თემატურად, კომპოზიციურად და ენბრივად ერთფერ-  
ოვანი არ გამოვიდეს. ვწერ ძირითადად დამით, როდესაც  
ყველას სძინავს და რაც თავში გამიელვებს, არავის „ეს-  
მის“. 300 სიტყვა თუ გადაება ერთმანეთს, მერე კვე-  
ლაფერი გამოვა. გამოქვეყნაბამდე იმდენჯერ ვკითხუ-  
ლობ, გამხელაც შერიდება. ბევრს ვფიქრობ იმაზე, რომ  
ორმაგი ფინალი არ გამეპაროს. ხშირად ვეკითხები საკუ-  
თარ თავს, რა მოხდება, აქ რომ დასრულდეს ამბავი.  
ზოგადად, ნერა ჩემთვის დასაწყისზე და დასასრულზე  
გამუდმებული ფიქრია, რადგანაც წინადადების თუ აბზა-  
ცის თავი და ბოლოც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც  
მთლიანი ამბის.

რადგან მუზები არასანდო ხალხია და მათი ლოდინი არ ღირს, ამიტომაც წერა ჩემთვის, შთაგონებასთან ერთად, ორგანიზებული შრომაცაა. როდესაც ჩემმა მეგობარმა და ნიგნის რედაქტორმა თეა ყიფშიძემ დაიყინა, რომ არცერთი ძევლი მოთხრობა არ შევიდოდა ახალ კრებულში, დავჯერ დავვინა „ქვის კაცები“. შედეგად, მეორე კრებულში ათი ახალი მოთხრობა შევიდა. „მამაჩემი დედაჩემის მერე“ უკვე ითარგმნა ინგლისურად ქართველ მწერალთა ანთოლოგიისთვის, რომელიც ნოებერში დიდ ბრიტანეთში გამოიცემა.

— როგორც ვიცი, წიგნისთვის მხოლოდ იმიტომ არ შეგირჩევიათ ეს სახელი, რომ ერთ-ერთი მოთხოვნის სათაურია. ინტერნეტში ამოვიკითხე თქვენი სიტყვები: „ეს არის ერთგვარი მინიშნება, რომ ერთ-ერთი ტექსტი გამცემს, ყველაფერი გამოგონილი არ არის და რაღაც ებირეალურად გადამხდა“. ძალიან საინტერესო თავ-სატეხი შემოგვთავაზეთ მკითხველს. ხომ იცით, ჩვენ ხშირად ვსაზრდოობთ ეჭვით, რომ ავტორითავის თავზე ყვება.

— ნერა ჩემთვის თამაშია, სადაც ბევრად გახსნილი და გულწრფელი ვარ. თამაშობენ ჩემი პერსონაჟები და სათამაშოდ ვინვევ მკითხველსაც. რთულია, ირნმუნო, რომ რაც გამოიგონე, რისთვისაც გარდაისახე და გადასახლდი, არ გამოგიყლია. რა თქმა უნდა, ჩემს მოთხოვობებშიც არის ფრაზები, პასაჟები, ზოგჯერ ამბებიც, რომლებიც რეალური ცხოვრებიდანაა. მაგალითად, „თამაში ფორცას ხაფანგში“ პირველი კრებულიდან, რომელიც ახლა ითარგმნება და ქართველი პროზაიკოსი ქალების გერმანულებრივან ანთოლოგიაში შევა, ნამდვილ ამბავს ეფუძნება. ნერის დროს ბევრი რამ გადასხვაფერდა და ამბავი გაცილებით რომანტიკული გამოვიდა. სინამდვილეში მატარებლის მძარცველებთან ერთად მგზავრობა გაცილებით სახიფათო იყო.

შეითხველი ყოველთვის ექცბს სიმართლის მარცვლებს მხატვრულ ტექსტში. ერთხელ ისიც კი მეოთხეს, ავტო-ბიოგრაფიული თუ არა „ადა და ევა“, მეორედ ცოტა სხ-ვაგვარად — „ადა ხართ თუ ევა?“ აღბათ ადაც ვარ, რომელიც ბავშვი არასოდეს ყოფილა; ევაც, რომელსაც ალერსისას ხერხემლის მაღლებს შორის იები უყვავის; მა-რაც, რომელსაც თავზე ჩიტისბუდანი კაცი უყვარს; სო-ნიაც, შელოცვით რომ მოჰყავს წვიმა ზაფხულში და ლენი-კოც, რომელსაც დალატის გამო სხეული აუჯანყდა; რახ-ან ეს ყველაფერი მე გამოვიგონე, ჩემი თავგადასავალი-ცაა.

— ნიგნი გამოვიდა, ავტორი დაემშვიდობა მას, მკითხველი კი შეხვდა. ახლა რა ხდება თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში — ახალი თავგადასავალი იწყება თუ უკვე დაიწყო?

— საერთოდ, წარსულის დათმობა მიჭირს, მაგრამ დანერილ ტექსტებს მაღლევე ვივინუყებ. რამდენიმე მოთხოვნის ან პასაჟის იდეა უკვე ჩანიშნული მაქვს ბლოკნობში. ძირითადად ეს ერთი სიტყვაა ან მოკლე ფრაზაა, რომელიც ოდესალაც ამბად იქცევა, მაგალითად, პირველ გვერდზე გაკრული ხელით წერია — „ჰელიუმის ბუშტი“. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთ ტექსტში გამოჩენდება ბავშვი, რომელსაც დედა ჰელიუმის ბუშტს შეაბამს ხელზე, ხალხმრავლობაში რომ არ დაკარგოს. „ცოცხალი მუსიკა, მკვდარი მიმტკანები“, „ჯიტური და ჯიგდა“, „წისქვილის გასაღები“ — ასეთი ჩანაწერებით სავსეა ჩემი ბლოკნოტი. „მეორე წაკითხვა“ პირველი მოთხოვნაა, რომელიც მესამე კრებულში შევა. თვალებს დავხუჭავ, ამბებს მოვინევ და თავგადასავალიც გაგრძელდება.

## დავით ხიზამბარელი

ମରୁ ପାତା



ჩვენს ლიბერალურ, ბურთივით მრგვალ დედამიწას პრობლემები არა და არ ელევა. გლობალური დათბობა და ბუნებრივი კატაკლიზმები ხომ გვანუხებს და გვანუხებს, ფხენიანის ატომური რეაქტორის გუგუნიც ხომ დღენიადაგ ყურში ჩაგვესმის, კონფედერატთა გენერლის ძეგლის გადატანა/არგადატანისთვის ხომ მიწყიყ ლანვებს ვიხეკავთ და მოახლოებული მესამე მსოფლიო ომის შიშით ლერნმის ლერისავით მოხდენილად თუ არა, სი-მინდის ყანასავით ზანტად ხომ მაინც ვირწევით და განვილევით.

ძაგლად საქართველო რისი საქართველო იქნებოდა, ვინმეს ჩამორჩენოდა და თავისი წილი მრუმე ღრუბელი არ შეემატებინა სრულიად მსოფლიოს თავზე შეჩეკიფული მურდალი ფერის ატმოსფერული ნალექებისათვის.

საქმე ისაა, რომ საქართველოს ფრიდა დმოკრძალებული იტერატურულ ცხოვრებაში ერთი მეტად უცნაური რამ ხდება: თურმე ნუ იტყვით და ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს ორი პაატა, ორივე ჩეხიდე და ორივე ინგლისური ენიდან მთარგმნელი (ერთ-ერთი ზოგჯერ რუსულიდანაც თარგმნის); ჰოდა, გამოვა თუ არა თარგმნილი წიგნი, რომლის შიდა სატიტულო გვერდზეც მთარგმნელად ზემოხსენებული გვარ-სახელია დაფიქსირებული, მოსწავლეს, სტუდენტსა და ჟურნალისტს ვინ დაექებს, ზოგჯერ თვით გამომცემლობის ხელმძღვანელებსაც კი ერევათ ხოლმე თავ-გზა, ვერ გასგიათ, რომელი პაატას ნაოფლარი ტექსტი უჭირავთ ხელში. საქმეს ისიც ართულებს, რომ ვიღაც ნიკოლას სპარსებს, ქენდის ბუშნელებს და მსგავსს ხუთცენტიან ავტორებს კი არ თარგმნიან ჩხეიძეები, არამედ ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ისეთ მძიმე გრანდებს ეჭიდებიან, როგორებიცაა: ბაირონი, ფოლკნერი, კონრადი, ელიოტი, სკოტ ფიცჯერალდი, ვონეგატი, აპდაიკი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ვინ უკეთ თარგმნის, ეს, რა თქმა უნდა, თქვენი მონა და მორჩილისა და, მითუმეტეს, ამ მცირე წერილის საქმე არაა, სჯობს, ისევ დიდრონ ავტორებს მივინდოთ ამ თემაზე სათვალების სრულა თა კამისის მიზანით საუბარი.

მე მხოლოდ პრობლემის არსები შექვერეტა დამისახავს  
მიზნად და წერილის ბოლოში თუ მცირედ გავანათებ ამ  
ყოვლად გაუგონარი ამბის შავ-ბნელ კატაკომბებს, მომ-  
დევნო რამდენიმე ღამის განმავლობაში მშვიდად  
დავიძინებ და იქნებ ისიც კი აღარ ვკითხო ჩემს თავს, ნე-  
ტავ ამ დღეებში ვინმეს რამე თუ ვარგე-მეთქი. არადა,  
მართლაც დიდი ჯაფა დამადგა და ღამის გამსრისა ამ  
კეთილი საქმის აღსრულების სიმბიმემ, მაგრამ კვეხნა რომ  
კვეხნად არ დამრჩეს, ბარემ იმასაც ვიტყვი, რამი ჩავლ-  
ვარე ესოდენი ძალა და ენერგია.

თავსატეხი რომ მეტად უცნაური იყო, აკი მოგახსენეთ  
კიდეც და წერილის დასაწყისში ერთგვარ უიმედობასც  
შეეპყრო ჩემი კალამი, მაგრამ ბოლოს იმდენი ვთხარე და  
ვჩიჩენე, მგონა, კაი მსუქანი კატაც გამოიყოხარ; ამიტომ  
ვიღრე კიდევ გადაუხევევდე თემას, ბარემ ვიტყვი, ასეთი  
რა კატა იყო. მოკლედ, ორი პაატა ჩხეიძის საქმეთა  
გამოცალევება შესაძლებელი ყოფილა. ერთი პაატა,  
აუზნუყვაშოთან მის სისხლთან და ხორცითან მის ალაო

გააუცემენ დროის თის სისტემათა დრა მოკლეთა, თის აღლალ ბიძაშვილთან ერთად სთავაგმნის ყოველსა სათარგ- მანგებლსა და როგორც ბრიტანულ ვოკალურ-ინსტრუ- მენტალურ ანსამბლ „პითლზის“ უმეტეს სიმღერას ეწერა (ეწერა რა, ახლაც აწერია) ხოლმე თავში ლენონ/მაკონტ- რის გარეშე უკავშირდებოდა.

ნი, ისევე ამძვენებს ზემოსესხებულ დიდ მხერალთა თარგ-  
მანების ერთ ნაწილს პაატა და როსტომ ჩხეიძების სახე-  
ლი. მართალია, ჩემის მხრივ ვერაფრით მივმხვდარვარ, ან ის პრიტანელები როგორ ახერხებდნენ ასე ნოტშეწყო-  
ბით სიმღერების თბზვას (მავანნი იმასაც ამზობენ, კი  
ლენონ/მაკარტინი ეწერათ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომე-  
ლი სიმღერა ლენონისა იყო, რომელი კიდევ მაკარტინისა), ან კიდევ ეს ძმათა შვილები როგორ თარგმნიან ერთობლი-  
ვად, მაგრამ, აბა, მე ვინ მეკითხება, რა როგორ იქმაზება  
ჩხეიძეთა მთარგმნელობით სამზარეულოში. მაგას სჯობს,  
მეორე პაატას მივხედო, რომელსაც მარტოს უნევს ჭა-  
პანწყვეტა, ეულად ერქინება ანგლო-ამერიკული ლიტერ-  
ატურის ცხრაკლიტულებს და, როგორც სჩანს, საზოგა-  
დოებაში გამოჩენაც დიდად არა ჰყავარებია. ალბათ ამი-  
ტომაა, რომ ბოლო ნლებში ბევრი კურიოზი თუ გაუგე-  
ბრობა დაგროვდა და თქვენმა მონა-მორჩილმაც კიდე

ერთხელ ამოინვადა (არა, იშიშვლა სჯობს) დიდი ხნის დაუსანგული კალამი, რათა სამართლიანობა აღედგინა. არა, მაინც რა ვართ ეს შემოქმედი ხალხი, ოღონდ ჩვენ თავზე გვალაპარაკე და შეტყი კი არაფერი გვინდა...  
ოქეანის ხომ იაპით რომ ჩემისა აურნალია გადასა ჩამისა -

სუკერც თით იციან, მაგრა ჩვენი და უკავია დასაბულისა და ეს ისე დაცუ-  
ით როდი უყვართ ჩაკირკიტება და მსუქან-მსუქანი კატე-  
ბის თხრა, ამიტომაცაა, წამდაუზუმ შეცდომები რომ მოს-  
დით. აგერ, ამის წინ, ძმათაშვილი პაატა სატელევიზიო  
გადაცემაში მიინვიეს და კა ხანს ასაუბრეს ცხონებული  
სკოტ ფიცჯერალის „დიდ გეტსინზე“; ხოლო იმავე სა-  
დამოს სტუდენტებს რომ უყვებოდა გადაცემის ამბავს და  
უკვირდა, ვერ კი მივმედარვარ, მანიცდამაინც მე რა-  
ტომ მიმიჩვიეს გადაცემაში, „საქმეში ჩახედულმა“ სტუ-  
დენტებმა, არც აციეს, არც აცხელეს და ცოტა არ იყოს  
გაკვირვებულებმა, ასე მიუგეს, რაღა რატომ, ბატონო  
პაატა, განა თქვენ არ თარგმნეთ „დიდ გეტსბი“ - რ? (ოხ,  
როგორ მზნდა ხოლმე ასეთ დროს უურნალისტიეს საფუძ-  
ვლები ავუფრიალო ამ ეგრეთ წოდებული „მეოთხე ხე-  
ლისუფლების“ წარმომადგენლებს, მაგრამ დროულად  
მასესნდება, რომ მაგათი გადაკიდება არ ეგების). თავი  
დავანებოთ უურნალისტებს, მაგათ კიდე ეპატიებათ  
ძმათაშვილი პაატასა და ეული პაატას ერთმანეთში აღ-  
რევა, მაგრამ თქვენს ნატერფალთა მტვერი ამასწინებზე  
იმისთანა ამბავს გადაანყდა, რომ მხარ-თებოზე წოლა  
და ფეისბუქში ღლიცინი დროებით შეწყვიტა და ამხელა  
საშვილიშვილო საქმეს შეუდგა!

მოკლედ, წიგნების სუპერმარკეტში — რომლის დასახ-  
ელება ბევრს არაფერს მოგვცემს — რადგან მხოლოდ  
ერთი ასეთი სუპერმარკეტი გვაქვს — დიდი ფოლკნერო-  
ბა გაიმართა. მონაცემების დიდი და მცირე ლიტერატურობი  
და ჩვენს ბებერ ბილის სულ დითირამბები უძღვნეს (თქვე-  
ნი მონა-მორჩილი არ დაპატიჟეს, ამიტომ დაუპატიჟე-  
ბლად მივედი). საქმე ისაა, რომ ჩვენი ქვეყნის ყველაზე  
დიდმა და ძლევამოსილმა გამომცემლობამ ფოლკნერის  
ექსტრომეული გამოსცა და ფეშქამად მნერლის  
ტრილოგიის — „სოფელი“, „ქალაქი“, „სასახლე“ — მესა-  
ძე წიგნიც გვითარგმნა. და ვინ თარგმნიდა ამ დიდებულ  
წიგნს თუ არა პატარა ჩხეიძებიდან ერთ-ერთი?! მაგრამ  
რამდენადც ეული პატა (ამ შემთხვევაში სწორედ მან  
თარგმნა წიგნი) ღონისძიებას არ ესწრებოდა, ხოლო  
ძმათაშვილი პატა კი იქ იყო (როგორც თვითონ გაუმხი-  
ლა საზოგადოებას, მოსახელე-მოგვარის გასაცნობად  
მოსულა), მთავარმა ფოლკნერთმა ქებლებმა დიდის ამბით  
უძღვნეს მაღლობა, ესოდენ საძნელო საქმის გასრულებ-  
ისთვის სწორედ... ძმათაშვილ პატას! და თითქოს ეს არ  
კმაროდა ჩემს გასამხიარულებლად — ვინც მუდმივად  
მსგავს შემთხვევებზე ვხალისობ — რომ გამომცემლობის  
ხელმძღვანელმა თუ პროექტების მენეჯერმა ბოლიშიც  
მოუხადა, ამხელა წიგნის მთარგმნელს სიტყვის თქმის  
საშუალება არ მოგეციოთ. ერთი სიტყვით, დიდი უხერხ-  
ულობა და შეუშვნა მოჰყვა ამ ამბავს და ბოლოს ყველანი  
მშვიდობიანად დაშორდებონ ერთურთს (ბარე ერთი-ორი  
განევ-გამოწევა მოლად გულის კოვზზედ დამეღვრებო-  
თა მარტინ ვინ მომია მი მარია ბაოი)

და, ძაგლიან ვინ მოკაცა სე თაგა იყენება.

პა, მე ორი შემთხვევა გავისქსენე, მაგრამ თუურმე იმდე-  
ნი წვრილანი გაუყებრობა ახლავს ორი პაატა ჩხეიძის  
მთარგმნელობით მოღვაწეობას, რომ მათზე საუბარი მე-  
ტისმეტად შორს გადაგვტყორცნიდა — რომაული კატა-

დაგიუნი

როგორც ყველა პატარა ბავშვის ფიქრი, აზრი, გული, ჩემიც — სანამ გავიზრდებოდი — უფრო სუფთა და ალა-ლი იყო. რაც დღო გადის, გამოცდილებასთან და გამჭრიახობასთან ერთად მეტი უნდობლობა შევიძინება და ბავშვური მიამ-იტობა დავკარგე. არ ვიცი, ვტიროდე თუ მიხაროდეს. ის კი მახსოვს, როგორ ვტიროდი, როცა შევიტყვე, არც თუ ისე პატარამ, რომ ლიზიკო ჩევეულებრივი ადამიანი ყოფილა. მე და ჩემს მეგობრებს სათამაშო, გასართობი, კანფეტი, შოკოლადი, ლიმონათი და კიდევ ბევრი სხვა რა მშვავი გვეგონა — ყველა თამა-შის „დამატებითი ინცენტარი“, სახელად „ლიზიკო“, მეტი კომფირტისათვის. მხ-ოლოდ სკოლის ასაკში შევიტყვე, როცა თანაკლასელს ვესტუმრე უბანში, რომ „კუუფამალობანას“ თამაშის წინ აუცი-ლებელია გათვლა, თუ ვინ დაიხუჭება და ვინ დამალება. ლიზიკო სულ იხუჭებოდა. „ძაღლობანას“ თამაშის დროს სულ ძალ-ი იყო, „მგელობანას“ თამაშის დროს მეგ-ლი. „არჩევანი ვარ, დაგასნარი!“ — როცა მითხრა თანაკლასელმა, დავიბენი. ჩევენთან ხომ „არადანა“ ყოველთვის ლიზიკო იყო. მის ოთხში ბავშვობა დამიპრუნა. ხიდის თეთრ, რაინის მოაჯირს დავეყრდე-ნი და უჩვეულოდ დამშვიდებულ მდინარეს რამდენიმე წევთი მარილიანი სითხე შეე-მატე. როცა გონიზე მოვედი, დაბნელებუ-ლიყო. მეზობლებს ჩამოვუარე, ლიზიკოს შესახებ ინფორმაციას ჯიბის წიგნაჟში ვინ-იშნავდი სწრაფ-სწრაფად. თავიდან გეგმა-ში მქონდა მათი მონათხრობი პირდაპირ დამტერა, მაგრამ ძალიან სასაცილო გამ-ოვიდა. მაგალითად, ერთი ქალბატონი, რომელიც ლიზიკოსა და მისი დედამთილის შესახებ მიყვებოდა, უცებ შეწყვეტდა თხრობას და მკითხვად: „დედა, ხო ჯამ-რთელად? მუშაობს?..“ აქედან გამომ-დინარე, გადავწყიტე, მათ მონათხრობზე დაყრდნობით ლიზიკოს ცხოვრების რამ-დენიმე ამბავი ჩევეულად მემბნა. რამდენ-იმე ამბავი, რომელმაც ბავშვობის მოგ-ონებზე პასუხის მიღების ნაცვლად, კიდევ უფრო მეტი კითხვის ნიშანი გამიჩინ-და და გამოცა.

\*\*\*

ჩემი იჯახი ყოველთვის თავაწეული დაიდიოდა ამ ქალბატში. ცხონებული დედა-ჩემი მეუბნებოდა, რძალი ან დაგაქცევს ან აგაშენებსო. — აშენებას არ გთხოვ, თავაწეული მა-ტიან, მეტი არაფერი მინდა, — ას მიმარ-თა ახლადშეძენილ რძალს, ლიზიკოს, კნეი-ნა ქეთევანამა.

— მერომ თავდახრილი ვიარო, თუ შეი-დება? — ჰეითა ლიზიკომ.

— რა გჭირს, შვილო, შენ თავდასახე-ლი, ამოდება სახლ-კარის პატროს? შვილი და ისეთი განათლება მივაღებინე, მთა-ვარ პროვიზორად დანიშნეს. ენაცვლოს დედა. ქმარია და, ქალაქს აზანზარებს. მითხარი, შენი ქმრის გარდა, ვის უსნავლია გერმანიაში ან პეტერბურგში? სიმდიდრე გვალია თუ სახელი?

— სიმდიდრე?.. ეს სიამაყე უფროა. ნამ-დევილი სიმდიდრე თავდახრილი სიარული... — ამ ღლაპს უყურე! მოდი ერთი აქ, რა განახო, მეშინია, გული არ გაგისცეს, — ირონიულად წარმოთქა ქეთევანა.

დედამთილა ლიზიკო სამალავიან მი-იყვანა, იქიდან მოზრდილი ზანდუკი ამ-ოლო, გახსნა და დიდი რაოდენობის ოქრო, ვეცხლი და ბრილიანტების აჩვენა. მერე, თიქოს სიამონება შეუზღუდა, გასალე-ბი გადაატრიალა და ზანდუკი თავის ადგი-ლიზე დაფი ამაყად.


— ამბობენ, ბერიად უფრო ლირებული რაღაცებიც არსებობს, — უთხრა ლიზიკომ კნეინას.

— ეს ვინც გითხრა, იმას ბრილიანტი სიზმარშიც არ ექნება ნანახი, — გაბრაზ-და დედამთილი.

— შეიძლება...

ძალიან დააღინა ლიზიკო ამ ამბავმა.

## ლევან ჩეხეიძე



„როგორ შეიძლება, უსულო ნივთს სა-სოებდე“.

ბევრი ღამე თურად გაათენა ამ ამბის შემდეგ. ერთ დღესაც ზანდუკი აიღო, გასაღები გადაატრიალა, გახსნა და მდინარეში გადააპირქვავა — „ნაულია ჩევნი ჭირი...“

„მართლაც წაილო“, ამბობდა თურმე სიბერეში. ჩევნი სიამაყე, კერპთაყვანის მცემლობა... ერთმა მეზობელმა ასეც მითხრა: „კნეინა ქეთევანი ამ ამბის შემ-დეგ თავაწეული არავის უნახას“. განდი აღარ ჰქონდა, მაგრამ ძალიან სასაცილო გამ-ოვიდა. მაგალითად, ერთი ქალბატონი, რომელიც ლიზიკოსა და მისი დედამთილის შესახებ მიყვებოდა, უცებ შეწყვეტდა თხრობას და მკითხვად: „დედა, ხო ჯამ-რთელად? მუშაობს?..“ აქედან გამომ-დინარე, გადავწყიტე, მათ მონათხრობზე დაყრდნობით ლიზიკოს ცხოვრების რამ-დენიმე ამბავი ჩევეულად მემბნა. რამდენ-იმე ამბავი, რომელმაც ბავშვობის მოგ-ონებზე პასუხის მიღების ნაცვლად, კიდევ უფრო მეტი კითხვის ნიშანი გამიჩინ-და და გამოცა.

„რას ვგულისხმობ? ერთმა მეზობელმა მომიყვა, როგორ ექცევილენე გაჭირვებულ ავადმყოფებს ლადივი და ლიზიკო. როცა პროვიზორი ავადმყოფს სიდუხჭირეს შეატყობდა, რეცეპტს გამოუხერდა და ფულს მისცემდა, წამალი იყიდეო — თან ლიზიკოს აფთიაქს მიასწავლიდა. იქ მის-ულ გაჭირვებულ ავადმყოფს ლიზიკო ნა-მაბამ მისცემდა და ფულს არ ართმევდა. ასეთი სექმით მუშაობდა თურმე ცოლ-ქმარი წლების მანილზე...“

რას ვგულისხმობ? ერთმა მეზობელმა მომიყვა, როგორ ექცევილენე გაჭირვებულ ავადმყოფებს ლადივი და ლიზიკო. როცა პროვიზორი ავადმყოფს სიდუხჭირეს შეატყობდა, რეცეპტს გამოუხერდა და ფულს მისცემდა, წამალი იყიდეო — თან ლიზიკოს აფთიაქს მიასწავლიდა. იქ მის-ულ გაჭირვებულ ავადმყოფს ლიზიკო ნა-მაბამ მისცემდა და ფულს არ ართმევდა. ასეთი სექმით მუშაობდა თურმე ცოლ-ქმარი წლების მანილზე...“

გაონგებული, დაბნეული ახალგაზრდა გასათხოვარი გოგონა გაურკვევლობის-გან მეხდა ერულივით მიაპიჯებდა. რა იცოდა, მთავარი საკვირველება წინ რომ ელოდა. იხილა კიდეც და გონი რეალურად დაკარგა, როდესაც კნეინა ქეთევან კახ-იანის რძალი ლიზიკო, ხელზე წითელ ლენტებმული, იატაკის ჯოზზე დაყრდნო-ბილი დაუხვდა აფთიაქს...“

— კი, ლიზიკო დეიდა.

— რაღაცას მიმაღავ... არა გრცნებ-ნიან?

გოგონა უეცრად ატირდა.

ლიზიკომ გულში ჩაიხუტა და თხოვა, ყველაფერი ეამბნა.

— მარგო ბერის ადგილი შემომთავაზ-ეს, ლიზიკო დეიდა დამლაგებლის ლენტს ხვალ გადმომცემენ, ორ საათზე. უარის თქმა მინდონა დამიპრუნა. მაგრამ ავადმყოფ მშობლებს ჩჩენა ხომ უნდათ. სანამ უკე-თესი რამე არ გამოჩნდება, სხვა გზა არ მაქა. დედაჩემისთვის არ მინდონა, მეთქ-ვა, მაგრამ სხვისგან მაინც გაიგებდა და სულ გასუსებრებიდა გული.

— რაო, რა გითხრა დედა?

— გასათხოვარი გოგო ხარო, ტეუი-ლად გასანავლე ამდენიო, შინაბერ დარ-ჩებით. ველარ მოვითმინე და სახლიდან ნამოვედი.

ლიზიკომ გოგონა უხმოდ ჩაიხუტა და თავზე — აკოცისენ აკოცისენ აიხე-და.

\* \* \*

— კადრების განციფილების კარი და-კეტილია და ვერ მეტყვით, სად იქნებან? — შემკითხა მომავალი დამლაგებლი მოხ-უც დარაჯა, შესასვლელში რომ თვლემდა.

— რომელი საათია? სადილზე იქნები-ან გასული. შესვენებაა, დაელოდეთ. თუმ-ცა, აი, მოვიდა. გაყვევი, შვილო, გაყვევი.

— უკარიავად, მე თქვენთან რამდენ-იმე დღის წინ ვიყავი — ვაკანსიის თაობა-ზე.

— გვარი?

— აი, მერვე აფთიაქსი დამლაგებლის ადგილი რომ განთავაზონდა.

— აა, გამასხენდა, გამასხენდა. მაგრამ დამლაგებლის ადგილი უკვე დაკავებუ-ლია.

გოგონას მუხლები აუკანკლდა.

— შემიძლია, ფარმაცევტის ადგილი შემოგთავაზოთ, თქვენ ხომ იქაც რეზერვ-ში ხართ.

გაონგებული, დაბნეული ახალგაზრდა გასათხოვარი გოგონა გაურკვევლობის-გან მეხდა ერულივით მიაპიჯებდა. რა იცოდა, მთავარი საკვირველება წინ რომ ელოდა. იხილა კიდეც და გონი რეალურად დაკარგა, როდესაც კნეინა ქეთევან კახ-იანის რძალი ლიზიკო, ხელზე წითელ ლენტებმული, იატაკის ჯოზზე დაყრდნო-ბილი დაუხვდა აფთიაქს...“



რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე

რედაქტორის მოადგილე ურა შერაზადიშვილი უზურნალისტი თამარ უზურული